გამოცემის მე-100 წელი

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 10 იანვარი. 2018 წ. №5 (8406), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ტერორისტების მხარდამჭერებს ზურაბ იდოიძეც მიემატა!

სუს-მა ტერორიზმის დაფინანსების, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერისა და რესურსებით უზრუნველყოფის ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული დეპარტამენტის მიერ, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, გუშინ ახმეტაში დააკავეს საქართველოს მოქალაქე **ზურაბ იდოიძე**.

სოფელ ომალოში მის კუთვნილ სახლში ჩატარდა ჩხრეკა. გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ დაკავებული ზურაბ იდოიძე ზურაბ გორნაკაშვილთან ერთად ჩავიდა თურქეთის ქალაქ ხოფაში ახმედ ჩატაევის და მისი დაჯგუფების წევრების დასახმარებლად. დაკავებულმა ზურაბ გორნაკაშვილთან ერთად ახმედ ჩატაევი და მისი დაჯგუფების წევრები ხოფაში, მათი დროებითი საცხოვრებელი ბინიდან მანქანით მიიყვანა თურქეთ-საქართველოს საზღვართან, კირნათი-მარადიდის მწვანე ზოლის მონაკვეთამდე.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 331-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტერორიზმის დაფინანსებას, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარ მატერიალურ მხარდაჭერას, ან რესურსებით უზრუნველყოფას გულისხმობს, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. სასჯელის ზომად 17-დან 20 წლამდე ვადით, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ქართული ოცნების“ ⑥ ოპოზიცია, ისევ „ოცნების“ წიაღში შეიქმნება“

შენგელის ④ ზონიდან... რუსეთისთვის დამღუპველ „ჯაველინის“ კომპლექსებამდე!..



③

„ჩვენს ქალაქში ყველაფერი მოსულა, ანდროპოვმა „ვარდი“ დააორსულა!“

თბილისში რესტორანი „ანდროპოვის ყურები“ იხსნება!

⑤ მარიამ (მარიკა) ლორთქიფანიძე,

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა მთელი ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი დიდად ღვაწლმოსილი, თავისი ცხოვრებით ფრიად გამორჩეული მანდილოსანი — აკადემიკოსი

მარიამ (მარიკა) ლორთქიფანიძე,

რომელმაც ქართული ისტორიის უერთგულესი მსახურებისთვის სამუდამო სიცოცხლე დაიმკვიდრა ისტორიაში. იგი ჩვენი გაზეთის თითქმის ყველაზე უძველესი ხელმომწერი, მკითხველი, ავტორი და უანგარო მეგობარი იყო.

აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს დაკრძალავენ 11 იანვარს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში თავისი სახელოვანი ძმის გიგა ლორთქიფანიძის გვერდით.

ტრამპი შეიძლება, გადაიქცეს მეამბოხე მილიარდერის აჯანყებად პოლიტიკური კლასის წინააღმდეგ ⑧

სჭირდება კი საქართველოს ⑨ ირანული გაზი, როცა აზერბაიჯანული აქვს?

მიშას მომავალი ისე მესახება, ③ როგორც ბომჟისა სანაგვე ყუთთან

დასაბუთებული ვარაუდები კვლავ ⑦ „ვეფხის-ტყაოსნის“ ირგვლივ



ლადო ჭანტურიამ სტრასბურგის სასამართლოში მოსამართლის ფიცი დადო

ლადო ჭანტურია სტრასბურგის სასამართლოში საქართველოდან წარდგენილი მოსამართლის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ფიცის დადების ცერემონიალი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 8 იანვარს გაიმართა. ღონისძიებას ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტი, მოსამართლეები და სასამართლოს სამდივნოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ლადო ჭანტურიამ ამ პოსტზე ნონა წოწორია შეცვალა. სტრასბურგის მოსამართლის მოვალეობას ის 9 წლის ვადით, 2018 წლის 8 იანვრიდან 2027 წლის 8 იანვრამდე შეასრულებს. სტრასბურგის მოსამართლის პოსტზე ლადო ჭანტურია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 10 ოქტომბერს აირჩია. რეკომენდაცია მას ევროპის საბჭოს ასამბლეის სპეციალურმა კომიტეტმა გაუწია. ლადო ჭანტურიას გარდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებად წარდგენილი იყვნენ ლალი ფაფიაშვილი და ოთარ სიჭინავა.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის მიზნით საქართველოს მთავრობამ სპეციალური პროცედურა შეიმუშავა; შეიქმნა საკონკურსო კომისიის უნიკალური მოდელი, რომელიც პროცესში აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წევრების, საქართველოს სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადვოკატების ჩართულობას ითვალისწინებდა. კომისიის მუშაობა ღია იყო მედიის წარმომადგენლებისთვისაც. ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ, დასწრებოდნენ კონკურსის დასკვნით ეტაპს — კანდიდატებთან გასაუბრებას. კომისიას იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობდა. კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის განისაზღვრა მკაფიო კრიტერიუმები.

სტრასბურგის მოსამართლის კონკურსის პირველი ეტაპი 21 თებერვალს, მეორე კი 26 ივლისს გამოცხადდა. პირველი კონკურსის შედეგად წარდგენილი სიიდან ევროპის საბჭოს ექსპერტებმა ლადო ჭანტურიას, მეორე კონკურსის გამარჯვებულთაგან კი ლალი ფაფიაშვილისა და ოთარ სიჭინავას კანდიდატურები მოიწონეს.

ქართველ ექსპორტიორებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩინეთის იმპორტის გამოფენაში მონაწილეობა მიიღონ

„მინდა, ქართველ ექსპორტიორებს გავაცნო შესაძლებლობა, რომ მიმდინარე წლის 5-დან 10 ნოემბრამდე ჩინეთის ქალაქ შანხაიში ჩინეთის იმპორტის გამოფენა ტარდება, სადაც საქართველო მიწვეულია, როგორც მნიშვნელოვანი სტუმარი. ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, გამოფენაზე ქართველი ექსპორტიორები წავიყვანოთ, რომლებიც ჩინეთში დაინტერესებულ პირებს საკუთარ პროდუქციასა და მომსახურებას გააცნობენ“, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩთან ძი იანჩისთან შეხვედრის შემდეგ.

პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, შანხაის გამოფენა კარგი შესაძლებლობაა ქართველი მეწარმეებისთვის, რათა სამომავლოდ დააკონტრაქტონ და გაყიდონ საკუთარი პროდუქცია თუ მომსახურება, მათ შორის, საუბარია ტურიზმზეც. დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, 2017 წელს ჩინეთიდან ტურიზმი 54 პროცენტით გაიზარდა. მისივე თქმით, აღნიშნული მაჩვენებელი იძლევა იმის პროგნოზირების შესაძლებლობას, რომ პოტენციალი ამ მიმართულებით დიდია.

აქედან გამომდინარე, პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, ჩინეთის გამოფენაში მონაწილეობით ასევე ტურისტული სექტორის წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ დაინტერესებული. 2018 წლიდან საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ამოქმედდა. დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, აღნიშნული შეთანხმება გაზრდის ჩვენი ექსპორტის შესაძლებლობებს ჩინეთის ბაზარზე.

ჩინელი ინვესტორები ანაკლიის პორტითა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონით დაინტერესდნენ

„ჩინეთის ელჩთან ჩვენ ვისაუბრეთ ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტსა და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ჩინელი ინვესტორების დაინტერესებაზე“, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩთან ძი იანჩისთან შეხვედრის შემდეგ.

„აღვნიშნეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს, სადაც ინტერესი გამოხატულია, მემორანდუმები გაფორმებულია და ვფიქრობთ, რომ მალე ეს ყველაფერი განხორციელდება“, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა. აღნიშნული საკითხის შესახებ ჩინეთის ელჩმა ძი იანჩიმ განაცხადა, რომ ჩინური მხარე მიესალმება ჩინური კომპანიების მონაწილეობას ანაკლიის პროექტში.

წყალში გადაყრილი მილიონები

მუხიანში სპორტული კომპლექსისთვის 7 მილიონი დაიხარჯა და დღეს თავიდან სარეაბილიტაციოა, — ამის შესახებ თბილისის მერმა სპორტული კომპლექსის მონახულებისას განაცხადა. კახა კალაძემ მოადგილეს ირაკლი ბენდელიანს დაავალა, სასწრაფოდ შეხვდეს კომპანია „საბა კონსტრაქშენის“ ხელმძღვანელობას, რომ ხარვეზები დროულად გამოასწორონ. თბილისის მერის თქმით, არსებული მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს.

„სავარჯიშო კომპლექსი მაისში გაიხსნა, 7 მლნ ლარი დაიხარჯა პროექტის განხორციელებისთვის და ეს არის ნათელი მაგალითი, როგორ არ უნდა გააკეთო. ძალიან მძიმე მდგომარეობაა გასახდელებში, კორიდორებში, ერთი სავარჯიშო მოედანი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და კატეგორიულად მიუღებელია იქ ბავშვების და ნებისმიერი თაობის ადამიანის ვარჯიში.

დავავალე, რომ დაუყოვნებლივ შეხვდნენ კომპანიას, ვინც განახორციელა სამუშაოები, რომ 7 მლნ დაიხარჯა პროექტის განხორციელებაში და ის, რომ ასეთ მდგომარეობაშია კომპლექსი, კატეგორიულად მიუღებელია. ჩვენ ამას არ დაუშვებთ, ჩვენ ვართ ორიენტირებული ხარისხზე და აქ უნდა გაიზარდონ ჩვენი შვილები, მომავალი თაობა და, შესაბამისად, ხარისხი უნდა იყოს მაქსიმალურად გათვალისწინებული. კატეგორიულად მიუღებელია ის, რაც აქ ხდება, რადგანაც ჩვენ ვართ ხარისხზე ორიენტირებული და არა ჰარი-ჰარალეზე. თავალი დავხუჭოთ რაღაცებზე, ეს არ და ვერ მოხდება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

სადისტრიბუციო მანქანები ქალაქში გარკვეულ საათებში იმოძრავებენ

სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლებთან უკვე მიღწეულია შეთანხმება, რომ სადისტრიბუციო მანქანებმა ქალაქში გარკვეულ საათებში იმოძრაონ, — აცხადებს თბილისის მერი. კახა კალაძის თქმით, კონკრეტული შეთანხმების შესახებ უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.

„ძალიან კარგი შეხვედრა შედგა. მადლობა მათ თანამშრომლობისთვის. გარკვეული ცვლილებები განხორციელდება. თუ რა ცვლილებები იქნება და რომელ საათებში ივლიან ქალაქში, ამას უახლოეს დღეებში გაგაცნობთ“, — განაცხადა კალაძემ.

ქუთაისის სასამართლომ დეპუტატ სოფო კილაძის მიმართ სარჩელი არ დააკმაყოფილა

ქუთაისის სასამართლომ დეპუტატ სოფო კილაძის მიმართ სარჩელი არ დააკმაყოფილა. ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს მისივე აპარატის თანამშრომელი დისკრიმინაციაში ადანაშაულებდა.

ელგა ფოლადიშვილი აცხადებს, რომ სასამართლოს სარჩელით მას შემდეგ მიმართა, რაც კომიტეტის თავმჯდომარემ იმ მიზეზით, რომ ის არ იყო იურისტი, სამსახურის დატოვება მოსთხოვა. ფოლადიშვილის მტკიცებით, რეალურად დეპუტატი კომიტეტს საკუთარი კადრებით აკომპლექტებს.

პრეზიდენტმა საპარლამენტო მდივნად ანა ნაცვლიშვილი დანიშნა

პრეზიდენტმა საპარლამენტო მდივანი გუშინ წარადგინა. ანა დოლიძეს ანა ნაცვლიშვილი შეცვლის, რომელიც „საიას“ თავმჯდომარე იყო.

პარლამენტის კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები განისაზღვრა

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა პარლამენტის კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები განსაზღვრა. კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი კახიანის განცხადებით, კომიტეტებში კვოტების ახალი გადანაწილება ორი ახალი ფრაქციის შექმნამ განაპირობა. მისივე ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობის ფარგლებში შექმნილი ფრაქციებისთვის კვოტები შემდეგნაირად გადანაწილდება — ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ ყველა კომიტეტში მოაკლდება ორი კვოტა და ისინი ახალშექმნილ ფრაქციებს თითო-თითო კვოტით გადაუნაწილდებათ.

„საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები უნდა განსაზღვროს. კომიტეტის გადაწყვეტილება გადაეგზავნება პარლამენტის ბიუროს და ამის შემდეგ, უკვე ახალ ფრაქციებს კომიტეტებში თავიანთი კანდიდატების წარდგენის საშუალება მიეცემათ“, — აღნიშნა გიორგი კახიანმა. კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები კომიტეტის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს.

◎ ბანალური სიბრიყვე!

„ჩვენს ქალაქში ყველაფერი მოსულა, ანდროპოვმა „ვარდი“ დააორსულა!“

თბილისში რესტორანი „ანდროპოვის ყურები“ იხსნება!



თბილისში წინასაახალწლო დღეებში ახალი რესტორანის პრეზენტაცია შედგა, რომელიც კლიენტებს 15 იანვრიდან მიიღებს...

დღევანდელ პირობებში ვის უნდა უკვირდეს რესტორნის გახსნა, მით უფრო, თბილისში, სადაც ისედაც უამრავია და ცენტრალურ თუ არაცენტრალურ ქუჩებზე თითქმის მიჯრით არიან მიწყობილნი. თუმცა, ჩვენი ყურადღება არა თავად აღნიშნულმა ფაქტმა, არამედ რესტორნის სახელწოდებამ მიიპყრო. რესტორანს... „ანდროპოვის ყურები“ უწოდეს. — ეს თიკუნი „რესპუბლიკის მოედანზე“ (ახლა რომ „ვარდების მოედანი“ ჰქვია...) მდებარე ტრიბუნის უკან აღმართული ოვალური სვეტების სკკპ გენერალური მდივნის (მანამდე კი 15 წლის განმავლობაში საბჭოთა უშიშროების სამსახურის — კგბ-ის შეფის) იური ანდროპოვის ყურებთან მიმსგავსების გამო ჯერ კიდევ 1980-იანი წლების დასაწყისში შეარქვეს ენასხარტულა თბილისელებმა. თვალშისაცემი მასშტაბურობა და ანდროპოვის ყურებთან გარეგნული მსგავსება ღიად მიანიშნებდა საბჭოთა უშიშროების სამსახურის განუზომელ შესაძლებლობას და ამ უწყების მიერ ქვეყნის მოქალაქეების ტოტალური (არა მხოლოდ სატელეფონო!) მოსმენის პრაქტიკას.

უკვე კარგა ხანია, იმ ადგილზე აღარც ტრიბუნაა და აღარც შესაბამისად, მის უკან აღმართული „ყურები“, მაგრამ ეტყობა, იმდენად მძლავრობს მავანთა სულებში წარსულის ნოსტალგია, რომ იმ პერიოდის „უკვდავყოფა“ ხსენებული თიკუნის რესტორნის სახელწოდებაში გამოტანით გადაწყვიტეს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება უკბილო ხუმრობამდეც კი ვერ ქაჩავს და თუ კარგად დავაკვირდებით, რეაქციულობის ელემენტების შემცველია. დღევანდელი გადასახედიდან, დამოუკიდებელ საქართველოში, რესტორნის სახელწოდებად „ანდროპოვის ყურების“ გამოყენება ირონიისა და სარკაზმის გამოხატულებად კი არ აღიქმება, არამედ, ფაქტობრივად, ტოტალიტარული სისტემის გაიდეალებისა და რეაბილიტაციის, გამართლების ლატენტურ ფორმას წარმოადგენს. ამიტომაც, ამ სახელწოდებით რესტორნის არსებობა თბილისში მიუღებელია ესთეტიკისა და მორალის, ეროვნული და პატრიოტული ასპექტებით, და უბრალოდ, საღი აზრის თვალსაზრისით!



თბილისი ბოლო წლებში საოცრად ეკლექტიკურ, მათ შორის მრავალეროვნულიდან მრავალრასობრივ ქალაქად იქცა და მისი ასეთი ტოლერანტობა და კოსმოპოლიტურობა მომრავლებული რესტორნების პროფილსაც დაეტყო. თუმცა ვერავითარ კონტექსტსა და ტოლერანტობაში ვერ ჯდება ის გარემოება, რომ ქალაქის ცენტრში რესტორანი ატარებდეს (თუნდაც, ვითომდა ირონიულ კონტექსტში) საბჭოთა უშიშროების სამსახურის იმ ხელმძღვანელის სმენითი ორგანოს სახელს, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა რეპრესიები თავისუფალი აზრის გამომხატველი პირების, დისიდენტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლების მიმართ იმ დროს, როდესაც ამ რესტორნიდან სულ რაღაც რამდენიმე ასეულ მეტრში მთაწმინდაზე განისვენებენ ასეთი მოძრაობის ანდროპოვისეული სისტემის მიერ რეპრესირებული ადამიანები!

იქნებ, ამ ახალი რესტორნის სახელწოდების ხათრით, საერთოდ აგვეკრძალა 1983 წლის ნოემბერში თბილისის აეროპორტში დატრიალებული ტრაგედიის მონაწილე ბიჭებზე, და ზოგადად, სისტემის მსხვერპლ ახალგაზრდებზე, სპექტაკლი ა. ვარსიმაშვილის „თავისუფალ“ თეატრში?!

ჩვენს ქალაქში, მართალია, „ყველაფერი მოსულა“, მაგრამ ვერავითარ მორალში ვერ ჯდება, რომ თბილისელებს ერთდროულად ეპატიჟებოდნენ რუსთაველის გამზირის დასაწყისში — „ჯინსების თაობაზე“, ბოლოში კი — „ანდროპოვის ყურებში“ „საგრიალოდ“. ეს ისეთივე ალოგიკურია, თავისუფალ თეატრში ხსენებული სპექტაკლის ნახვის შემდეგ გულაჩუყებულმა მაყურებელმა „ანდროპოვის ყურებს“ რომ მიაშუროს და წარმოდგენიდან გამოყოლილი ემოციური მუხტისაგან დაცლა რუსული არყითა და ქაშაყით სცადოს...

რას ფიქრობდნენ ამ რესტორნის დამფუძნებლები სახელწოდების შერჩევისას? იქნებ ვარაუდობენ, რომ ეს რესტორანი, სახელწოდების „საკრალურობიდან“ გამომდინარე, თბილისში სხვადასხვა ქვეყნებიდან (და არა მარტო რუსეთიდან) შემოსული ჯაშუშების საყვარელი თავშეყრის ადგილი გახდება?!

ამგვარი ლოგიკით, სადაც ასეთ საარაკო ნოსტალგიას ამჟღავნებენ ანდროპოვისა და მისი ეპოქისადმი, ამ რესტორნის მომსახურე პერსონალმა — ადმინისტრატორიდან დაწყებული და ოფიციანტებით დამთავრებული, წესით, ანდროპოვის გამოსახულებიანი და მისი ყურის პროფილის მქონე საფირმო სამკერდე ნიშნები უნდა იქონიონ, სლოგანით «Застойные-достойные годы!». რესტორან „ანდროპოვის ყურების“ მეპატრონეებს იქნებ ეცადათ და მარკეტინგულ ხერხად გამოეყენებინათ კალამბურები, რომელთა შინაარსი განსაკუთრებით კარგად იციან უფროსი თაობის წარმომადგენლებმა: ნახეთ, როგორ „მოუხდებოდა“ რესტორნის შესასვლელს პუშკინისეული სიტყვები: «Души перекрасные порывы!», ხოლო გამოსასვლელს — ხატოვანი ფრაზა—გაფრთხილება: «Скорость срука паспространяется быстрее скорости звука!»...

ეეჰ, რომ იტყვიან, თქვენი კრეატულობის სახელმძღვანელო დავხიე! — რესტორნის დამფუძნებლებმა ხომ საზოგადოებას თავზე უკვე „გადაახიეს“ საქართველოს პარლამენტის მიერ თავის დროზე მიღებული კანონი („თავისუფლების ქარტია“), რომელიც პირდაპირ ზღუდავს ტოტალიტარულ რეჟიმებთან ასოცირებული სიმბოლოებისა და პირების არსებობას საჯარო სივრცეში, პოლიტიკასა და სახელმწიფო დაწესებულებებში...

თუ რასთან გვაქვს საქმე — ბანალურ სიბრიყვესთან, „კრეატულ“ რეაქციონერობასთან თუ ლატენტურ რეტროგრადობასთან, ამის შეფასება მკითხველისთვის მომინდვია...

იოსებ არჩვაძე,
პროფესორი

◎ ილუზია და რეალობა

ვახტანგ მაისაია: მიშას მომავალი ისე მესახება, როგორც ბომჟისა სანაგვე ყუთთან

ასტროლოგები გვარწმუნებენ, რომ 2018 წელი გაცილებით ტოლერანტული, დიპლომატიური იქნება. ეს წელი მსოფლიოში ჰუმანურობის, კაცთმოყვარეობის ტენდენციებს გამოიწვევს. ასეთი დამაიმედებელი პროგნოზის მიუხედავად, მსოფლიოს დღევანდელი მოცემულობა განსხვავებულია.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ჩვენ სიურეალისტური ტიპის პერიოდში გადავდივართ, სადაც აბსოლუტურად ყველა რეალისტური პროექტი დაჩქარებული გლობალიზაციის პირობებში ხორციელდება.

ერთი წლის წინათ ჩვენთან საუბარში თქვენ კვადროპოლარული სამყაროს შექმნას აანონსებდით ამერიკის, ევროკავშირის, რუსეთისა და ჩინეთის მონაწილეობით. ამას ემატებოდა ე.წ. დაიში, რომლის დასამარცხებლადაც მსოფლიოში დიდი ძალისხმევა დაიხარჯებოდა. იქნება თუ არა 2018 წელი დიპლომატიის ნამდვილი ზეიმი?

— დიდი მადლობა, რომ ჩემი პროგნოზი შემახსენეთ კვადროპოლარული სამყაროს მოწყობის შესახებ, სადაც დაიში იქნებოდა მთავარი დაპირისპირების არეალი და დაიში, ფაქტობრივად, დამარცხდებოდა. ეს ნათქვამი მართლაც ახდა. 2018 წელს კვადროპოლარული სამყარო კიდევ უფრო გაძლიერდებაგამყარდება. ძირითადი აქტორები, ანუ გავლენის ცენტრები კვლავაც იქნებიან ჩინეთი, რუსეთი, ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები. შეიძლება, მომავალში მათ სხვა აქტორებიც შეუერთდნენ. ამ მხრივ ინდოეთიც არ არის ჩამოსაწერი, მაგრამ ინდოეთს ჯერ კიდევ შორი გზა აქვს აქამდე გასავლელი. ამიტომ ეს ოთხი აქტორი დანამდვილებით შენარჩუნდება.

დაიშის პრობლემა ახალი ძალით წარმოჩინდება, რადგან დაიშმა შეიძლება ჰიბრიდული ტიპის ბრძოლა დაიწყოს და კვლავაც მორიგი ჯიჰადისტური პროექტი ვიხილოთ, რომელიც დაიშის გაგრძელების ერთგვარი ტიპოლოგია იქნება. გლობალური ჯიჰადიზმის ფაქტორი ამით არ დასრულდება, პირიქით, რამდენიმე თვის შემდეგ, სავარაუდოდ, მაის-ივნისში ეს პრობლემა ახალი ძალით წამოიჭრება არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ უკვე ცენტრალურ აზიაშიც, სუბ-საჰარის მიმართულებით. აქ ახალი დაპირისპირების კერები გაჩნდება. შეიძლება ცენტრალური აზია მთავარი გეოპოლიტიკური განვითარების ეპიცენტრადაც გადაიქცეს.

— როგორც ჩანს, ნაწილობრივ გამართლდება ბაიდენის ცენტრის ხელმძღვანელის მაიკლ კარპენტერის ნათქვამი, რომ რუსეთმა რევანშისტული ქმედებისთვის საფასური უნდა გადაიხადოს. საუბარია საქართველოსა და უკრაინაზე.

— რა თქმა უნდა, შემიძლია პირდაპირ გითხრათ, რომ გართულდება ურთიერთობა ამერიკასა და რუსეთს შორის.

— პუტინის ფაქტორი კვლავაც უცვლელი დარჩება და რუსეთში არჩევნები წესისამებრ ერთფეროვნად ჩაივლის?

— პუტინის შეცვლაზე საუბარი გამორიცხულია. პუტინი როგორიც არის, ასეთად დარჩება და შეიძლება კიდევ უფრო წავიდეს კონფრონტაციული მიმართულებისკენ. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენ ხმას აიღებს პუტინი მარტში, საპრეზიდენტო არჩევნების დროს. თუ მან აიღო 70%-ზე მეტი, ეს მის ამბიციას კიდევ უფრო გააძლიერებს. თუ შედარებით მცირე პროცენტს აიღებს, ამან შეიძლება მისი ამბიცია ცოტა შეასუსტოს, მაგრამ აგრესიულ ელემენტებს მაინც გამოაჩენს.

ნებისმიერ შემთხვევაში, როგორი შედეგიც არ უნდა მიიღოს პუტინმა, მისი ლეგიტიმაცია შემდგარი და ძლიერი იქნება. პუტინის გადიდებულ ამბიციას, ასევე, ხელს შეუწყობს ის ფაქტიც, რომ წლეულს რუსეთში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება და რუსეთი ბუნებრივად მოხვდება მსოფლიო ეპიცენტრში. რეალურად საკმაოდ ცხელი პროცესები გველის. შესაძლოა, კავკასიაშიც პროცესები გართულდეს და ამერიკა-რუსეთს შორის გართულებული ურთიერთობა ჩვენზეც აისახოს. ეს წარმოჩნდება იმითაც, თუ როგორ განვითარდება სიტუაცია აღმოსავლეთში, იერუსალიმის სტატუსთან დაკავშირებით.

იხ. 5 გვ.

შენგენის ზონიდან... რუსეთისთვის დამლუპველ „ჯაველინის“ კომპლექსებამდე!..

2017 წელი საქართველოსთვის საგანგებოდ იღბლიანი აღმოჩნდა საგარეო პოლიტიკურ სარბიელზე და, განსაკუთრებით, ევროკავშირთან დაახლოების გზაზე – საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის (შენგენის ზონის) ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის უფლება მიენიჭათ. ნატოს გამოცდილებიდან გამომდინარე, წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქნა მიჩნეული ასევე ნატოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის თბილისში ჩატარების ფაქტი. 2017 წელი საგანგებოდ აქტიური და აქტუალური იყო ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების ჭრილში. რუსეთი კვლავაც განაგრძობდა აგრესიული და დესტრუქციული პოლიტიკის გატარებას, რასაც საერთაშორისო თანამეგობრობა მკვეთრად უარყოფითი რეაქციებით პასუხობდა. მიმოხილვა ასახავს 2017 წლის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენებს.

ეს იყო გრძელი გზა, მაგრამ ამ გზამ ჩვენ კიდევ უფრო დაგვაახლოვა. ეს არის გზა, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს რეფორმირებასა და განვითარებას.

დონალდ ტუსკი

საკმაოდ ხანგრძლივი, მრავალეტაპიანი და ემოციებით აღსავსე მოლოდინის შემდეგ, 2017 წლის 28 მარტს საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის (შენგენის ზონის) ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის უფლება მიენიჭათ. „გულწრფელად ვულოცავ საქართველოსა და მის ყველა მოქალაქეს უვიზო მიმოსვლას. ისიამოვნეთ ევროპით“, – აღნიშნა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა, ხოლო ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა ამ დღეს მნიშვნელოვანი პროცესების დამაგვირგვინებელი „ისტორიული დღე“ უწოდა:

„ეს იყო გრძელი გზა, მაგრამ ამ გზამ ჩვენ კიდევ უფრო დაგვაახლოვა. ეს არის გზა, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს რეფორმირებასა და განვითარებას. საქართველომ შესანიშნავად იმუშავა და ბევრს მიაღწია... დღეს არის ისტორიული დღე ყველა ჩვენგანისთვის და, განსაკუთრებით, ქართველი ხალხისთვის, რომელიც უკვე დღეიდან შეძლებს გამოიყენოს შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის უფლება. ეს არის მნიშვნელოვანი ეტაპი ევროკავშირისა და საქართველოს უფრო ახლო ურთიერთობებისთვის“.

ეს სიტყვები დონალდ ტუსკმა 28 მარტს წარმოთქვა ბრიუსელში, სადაც იმ დღეს საგანგებოდ ჩავიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. უვიზო მიმოსვლის სტარტისადმი მიძღვნილ ერთობლივ პრესკონფერენციაზე მისალოცი სიტყვები ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟან-კლოდ იუნკერმაც წარმოთქვა, 28 მარტს მანაც „ისტორიული“ უწოდა და აღნიშნა, რომ 180-დღიან პერიოდში 90 დღეზე გათვლილი უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა დიდად წაადგებათ მოგზაურობის, სწავლისა თუ ბიზნეს-კონტაქტების დამყარების მსურველებს.

არ გამართლდა იმის შიში, რომ საქართველოს სულ უფრო მეტი მოქალაქე ბოროტად ისარგებლებდა თავისუფალი მიმოსვლის უფლებით. ვითარება სტაბილურად არის მიჩნეული შეჩერების მექანიზმის ჭრილში ევროკომისიის მიერ შემუშავებულ შეფასების პირველ ანგარიშში, რომელიც 20 დეკემბერს გამოქვეყნდა.

ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების პროცესს 2017 წელს სხვა ასეთი ხილული და ხელშესახები შედეგები არ გამოუღია, თუმცა წლის განმავლობაში როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე მათი ოპონენტები თუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მუდმივად იმეორებდნენ, რომ საქართველოს საბოლოო მიზანი ევროკავშირის წევრობაა. პარტნიორი და მეგობარი ქვეყნების დიდი მცდელობის მიუხედავად, ასეთი დაპირება საქართველომ ვერ მიიღო, თუმცა, აღმოსავლეთ პარტნიორობის მეხუთე სამიტის ფარგლებში, 24 ნოემბერს ბრიუსელში დამტკიცებულ დეკლარაციაში აღიარებულია ასოცირებული ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს, „ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი“. ევროკავშირის წევრები კვლავაც იზიარებენ თავდაპირველ პრინციპს, რომ პარტნიორმა ქვეყნებმა მიიღონ მეტი მათი ამბიციების, საჭიროებებისა და ასევე „რეფორმების ტემპისა და ხარისხის“ შესაბამისად.

ყურადღება კონცენტრირებულია რეფორმებზე როგორც უკრაინაში, ასევე საქართველოში... ამ რეფორმათა შედეგები განსაზღვრავს, თუ როდის გახდებიან ეს ქვეყნები ნატოს წევრები და როგორი იქნება დამოკიდებულება ალიანსში მათი გაწევრიანების მიმართ.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნის (საქართველოს, უკრაინის, მოლდავეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ბელორუსის) ლიდერთა შეხვედრაზე მიღებული დეკლარაცია, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, რეგიონის კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობასაც ახსენებს. ევროკავშირი გამოხატავს მზადყოფნას, რომ მხარი დაუჭიროს პარტნიორი ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

ევროპულ მისწრაფებებთან ერთად, 2017 წელს დღის წესრიგში კვლავინდებურად უცვლელად იდგა ევროატლანტიკური მისწრაფებებიც. მართალია, ჯერ ისევ უპასუხოა შეკითხვა – როდის გახდება საქართველო ნატოს წევრი, მაგრამ 9 ოქტომბერს, როცა ბუქარესტში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიურ სესიაზე გამოდიოდა სიტყვით, ესტონელი დეპუტატის შეკითხვის პასუხად ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ გაწევრიანების საკითხი ასპირანტი ქვეყნების მიერ ნაჩვენებ პროგრესზე იქნება დამოკიდებული:

„ყურადღება კონცენტრირებულია რეფორმებზე როგორც უკრაინაში, ასევე საქართველოში... ამ რეფორმათა შედეგები განსაზღვრავს, თუ როდის გახდებიან ეს ქვეყნები ნატოს წევრები და როგორი იქნება დამოკიდებულება ალიანსში მათი გაწევრიანების მიმართ. ეს იმიტომ, რომ სწორედ ეს რეფორმები აძლიერებს როგორც უკრაინას, ასევე საქართველოს... ასევე უნდა გვესმოდეს, რომ ძალიან ბევრი რამ არის „არაფერსა“ და სრულფასოვან წევრობას შორის... ვფიქრობთ, რომ ამ ქვეყნებთან ჩვენი ყოვლისმომცველი თანამშრომლობა ხაზს უსვამს ძლიერ პარტნიორობას, რომელიც ძალიან ღირებულია როგორც ნატოსთვის, ასევე უკრაინისა და საქართველოსთვის... და ჩვენ მომავალშიც კიდევ უფრო გავაძლიერებთ პარტნიორობას მეტი პრაქტიკული თანამშრომლობითა და მეტი პოლიტიკური მხარდაჭერით“.

საქართველოსაც შეეხება რეზოლუცია, სახელწოდებით „სტაბილურობა და უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში“, რომელიც ნატოს საპარლამენტო ასამბლეის 63-ე სესიის ფარგლებში დამტკიცდა. ტექსტში ხაზგასმულია რუსეთის ზეგავლენის გაძლიერება შავი ზღვის რეგიონში, მზარდი საფრთხეები და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ვალდებულება იზრუნოს თავისი სანდო პარტნიორების უსაფრთხოებაზე.

2017 წელს ნატოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიას (26-29 მაისს) თბილისი მასპინძლობდა და იმ დღეებში არაერთხელ ითქვა, რომ საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არაწევრი რიგით მეხუთე ქვეყანაა, სადაც ნატოს საპარლამენტო ასამბლეის გასვლითი სესია გაიმართა და რომ ოთხივე ქვეყანა, რომელიც მანამდე იყო მასპინძლის რანგში, დღეს უკვე ნატოს წევრია. სესიამ თბილისში შეკრიბა ნატოს 28 წევრი ქვეყნის 300 პარლამენტარი ამერიკიდან და ევროპიდან და, ასევე, დელეგატები ასოცირებული, პარტნიორი და მეთვალყურე ქვეყნებიდან. თბილისში სულ 600-მდე მოწვეულ სტუმარს ითვლიდნენ. აკრედიტაცია გაიარა მედიის 300-მდე წარმომადგენელმა. საქართველო ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ასოცირებული წევრი ქვეყანა 1999 წლის მაისში გახდა.

საქართველოს ესაჭიროება ყველანაირი მხარდაჭერა, რათა გაუმკლავდეს წნეხს რუსეთის მხრიდან – მათ შორის, მისი სამხედრო ძალების გაზრდას საქართველოს საზღვრებში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცოცავ ანექსიას და ჰიბრიდულ ტაქტიკას საქართველოს საზოგადოების წინააღმდეგ...

* * *

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდამჭერ დეკლარაციაში, რომელიც 29 მაისს, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის მიწურულს, პლენარულ სხდომაზე დაამტკიცეს, ასამბლეა მოუწოდებს რუსეთს, უკან წაიღოს საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარების გადაწყვეტილება და გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული ტერიტორიებიდან. დეკლარაციის ტექსტში კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული, რომ ალიანსში გაწევრიანებისთვის საქართველოს დასჭირდება გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მიღება. ასამბლეა მოუწოდებს ნატოს მთავრობებსა და პარლამენტებს, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს „პოლიტიკური განზომილება“ და შეიქმნას პირობები საქართველოსთვის MAP-ის მისანიჭებლად. მნიშვნელოვანი პროგრესის აღიარების მიუხედავად, დეკლარაციის თანახმად, ნატოს საპარლამენტო ასამბლეა ხედავს შემდგომი ძალისხმევის საჭიროებას საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესში – ყურადღება მახვილდება კანონის უზენაესობაზე, სასამართლო სისტემასა და მედიაპლურალიზმზე.

როცა სესიაზე გამოსვლისას რუსეთის აგრესიაზე ლაპარაკობდა, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტმა, ლიტველმა დეპუტატმა რასა იუკნევიჩიენემ აღნიშნა, რომ საქართველო „კვლავაც ცხოვრობს დიდი და არამეგობრული მეზობლის ჩრდილქვეშ“ და რომ ნატო უნდა დაეხმაროს თავის ერთგულ პარტნიორ ქვეყანას, რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მიუხედავად:

„საქართველოს ესაჭიროება ყველანაირი მხარდაჭერა, რათა გაუმკლავდეს წნეხს რუსეთის მხრიდან – მათ შორის, მისი სამხედრო ძალების გაზრდას საქართველოს საზღვრებში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცოცავ ანექსიას და ჰიბრიდულ ტაქტიკას საქართველოს საზოგადოების წინააღმდეგ. ჩვენ, ევროატლანტიკური თანამეგობრობა, არ უნდა ვზღუდავდეთ ჩვენს პოლიტიკას რუსეთის მიმართ შიშზე დაყრდნობით. კრემლი აგრესიულია, მაგრამ ჩვენ განუზომლად ძლიერები ვართ, და არა იმდენად ჩვენი სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერის გამო, არამედ პირველ რიგში იმის გამო, რომ მორალურ უპირატესობას გვანიჭებს ჩვენი დემოკრატიული ღირებულებების დაცვა“.

ყოველ ჯერზე, როდესაც ნატოს ლიდერები საქართველოზე ლაპარაკობენ, საგანგებოდ აღნიშნავენ ქვეყნის გამორჩეულ წვლილს საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში და მადლიერებას გამოხატავენ ერ-

მიშას მომავალი ისე მესახება, როგორც ბომჟისა სანაგვე ყუთთან

(მესამე გვერდიდან)

— ჩინეთზე დამოკიდებულება რუსეთისთვისაც ხომ საშიშია, თუნდაც მისი დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე? ჩინელები ნელ-ნელა სახლდებიან ციმბირში და მშვიდობიანად ეუფლებიან რუსეთის ვრცელ ტერიტორიებს.

— რა თქმა უნდა, ეს ფაქტები არსებობს. ამ ოთხივე გეოპოლიტიკურ მოთამაშეს შეიძლება, ჰქონდეთ დაპირისპირების კონტურები, რადგან ოთხივე მოთამაშე, ოთხივე გავლენის ცენტრი დამოუკიდებელ გეოპოლიტიკურ სტრატეგიას განახორციელებს და დამოუკიდებელ თამაშს დაიწყებს. თუ ვინ აჯობებს ამ ოთხი გეოპოლიტიკური გავლენის ცენტრიდან, ამას დრო გვიჩვენებს. რაც შეეხება ტერორიზმის საფრთხეს და საქართველოს, ჩვენ უკვე აღმოვჩნდით ტერორისტულ ეპიცენტრში, პანკისის მოვლენებმა ამ სიტუაციაში ცუდი როლი შეასრულა და ღმერთს უნდა ვთხოვდეთ, რომ გადარჩეს დაჭრილი ქისტი ახალგაზრდა.

— რაც შეეხება ამერიკას, შეერთებული შტატები ჩვენი სანდო პარტნიორია, მაგრამ არაორდინარული ტრამპის პერსონიდან გამომდინარე, ტრამპის ამერიკა რამდენად სანდო პარტნიორად შეიძლება მივიჩნიოთ? შეგვიძლია ასეთი ლიდერის იმედი გვქონდეს?

— ამერიკის დღევანდელ ხელმძღვანელობას არასაიმედო პარტნიორად ჩვენზე უფრო ახლოს მდგომი სტრატეგიული პარტნიორები მიიჩნევენ. ევროკავშირის სახელმწიფოებმა ამერიკასა და ტრამპს პირდაპირ სილა გააწნეს, როცა ევროკავშირის 22-მა სახელმწიფომ გადაჭრით დაუჭირა მხარი ანტიამერიკულ რეზოლუციას და ექვსმა სახელმწიფომ თავი შეიკავა. საქართველოს მსგავსად, ისინი არათუ გავიდნენ დარბაზიდან, არამედ მონაწილეობა მიიღეს კენჭისყრაში, მაგრამ თავი შეიკავეს, ანუ ამერიკისთვის უფრო უარესი პოზიცია დააფიქსირეს.

— როგორი იქნება „რეფორმატორ“ სააკაშვილის მომავალი 2018-ში? შინაპატიმრობისთვის განწირული სააკაშვილი დაპირებისამებრ სახლში დიდ ეკრანს დაყენებს და უკრაინელ ხალხს ამ ეკრანიდან დაუწყებს ურთიერთობას თუ ჰოლანდიას შეაფარებს თავს?

— მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში უკვე კომიქსების გმირი გახდა, მასზე კომედიურ სერიალებს იღებენ. ევროსასამართლომაც უცებ არ მიიღოს სააკაშვილის სარჩელი და უცებ არ განიხილოს. ის გაფუჭებული კარტია. გახსოვთ, ალბათ, ასეთი ფილმი „არასერიოზული კაცი“. სინამდვილეში, ის არასერიოზული კაცი სერიოზული პიროვნება გახლდათ, „არასერიოზული კაცი 2“, ანუ სააკაშვილი კი რეალურადაც არასერიოზული ტიპაჟია.

— ფაქტია, უკრაინას არ სჭირდება რევოლუციონერი, მაგრამ ნიდერლანდებს სჭირდება?

— გავიხსენოთ მეთიუ ბრაიზას სიტყვები. სულ ახლახან ბრაიზა გამოვიდა რადიო „თავისუფლების“ სატელევიზიო არხზე „ნასტაიაშჩეე ვრემია“. როდესაც მას დაუსვეს შეკითხვა სააკაშვილის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ბრაიზამ აღნიშნა, სააკაშვილი ვაჟკაცი პიროვნებააო, ამავე დროს, კარგი მინიშნებაც გააკეთა. მან თქვა, ელემენტარულად, სააკაშვილს დღეს ვერ გამოჰყავს იმაზე მეტი ადამიანი, რამდენიც ქართველები არიან, მას ძალზე ცოტა ხალხი უდგას გვერდში და დღეს უკრაინაში არსებული ორომტრიალი და სიტუაციის აღრევა პირდაპირ ჩრდილოეთის მხარის ინტერესშიაო.

ფაქტობრივად, ბრაიზამ დააფიქსირა, რომ სააკაშვილი, ეს „ვაჟკაცი პიროვნება“ ვაჟკაცურად ასრულებს მოსკოვის დავალებას. ეს ბრაიზას ნათქვამის ზუსტი დეფინიცია იყო. ამით ყველაფერია ნათქვამი სააკაშვილის უახლოესი მეგობრისა და სტრატეგიული ლობისტის მეთიუ ბრაიზას მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბრაიზა ახლა აღარ არის მოქმედი პოლიტიკოსი, იგი ვაშინგტონის საერთო პოზიციას ახმოვანებს. ამიტომ 2018 წელს მიშას მომავალი მესახება ისე, როგორც ბომჟისა სანაგვე ყუთთან. ის ქუჩაში გაშლის კარავს და ეს იქნება მისი ბოლო.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის II და III ქვეითი ბრიგადებს ახალი მეთაურები ჰყავთ

მეთაურების უფლებამოსილების გადაბარების ცერემონია სენაკში II ქვეითი ბრიგადის სამწყობრო მოედანზე გაიმართა.

ღონისძიება, რომელსაც თავდაცვის მინისტრი და გენერალური შტაბის უფროსი დაესწრნენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებსა და სამშვიდობო მისიებში დაღუპული გმირების მემორიალის გვირგვინით შემკობით დაიწყო.

თავდაცვის მინისტრმა სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვით მიმართა, ყოფილ მეთაურებს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა, ვიცე-პოლკოვნიკებს კობა გრიგოლიასა და მალხაზ კალმახელიძეს კი წარმატებები უსურვა და მხარდაჭერა აღუთქვა. ლევან იზორიამ 2018 წელს თავდაცვის უწყების პრიორიტეტებზეც ისაუბრა და ყურადღება ძლიერი შეიარაღებული ძალების მნიშვნელობაზე გაამახვილა. ჯარისკაცებს სიტყვით მიმართეს ასევე, გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ და II ქვეითი ბრიგადის კაპელანმა, მამა იოსებმა.

ახალდანიშნულ მეთაურებს საბრძოლო დროშები სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდალმა, ბრიგადის გენერალმა გიორგი მათიაშვილმა გადასცა. II ქვეითი ბრიგადის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა კობა გრიგოლიამ საბრძოლო დროშა წინამორბედისგან, ვიცე-პოლკოვნიკ გიორგი ბლიაძისგან მიიღო. III ქვეითი ბრიგადის მეთაურს, ვიცე-პოლკოვნიკ მალხაზ კალმახელიძეს კი უფლებამოსილება პოლკოვნიკმა როლანდ კიკნაველიძემ გადააბარა.

თგულებისა და მამაცი ჯარისკაცების მიერ გაღებული მსხვერპლისთვის. მსხვერპლი იყო 2017 წელსაც. 3 აგვისტოს ავღანეთში, ნატოს ეგიდით მოქმედ „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის ფარგლებში, ბაგრამის საავიაციო ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე პატრულირებისას მომხდარ აფეთქებას შეეწირა ზესტაფონის რაიონის სოფელ მარტოთუბნის მკვიდრი, 25 წლის უმცროსი სერჟანტი მდინარ ბებიაშვილი. ის 32-ე ქართველი სამხედროა, რომელიც საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში სამსახურის დროს დაიღუპა. წლის განმავლობაში ავღანეთში დაიჭრა არაერთი ქართველი ჯარისკაცი.

ქართველი ჯარისკაცების თავდადების გამო მადლიერების გრძნობა არაერთხელ გამოხატა შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა, 2017 წლის ზაფხულში, როცა ის თბილისს სტუმრობდა. ტურნეს ფარგლებში, რომელიც ასევე ესტონეთსა და ჩერნოგორიას აერთიანებდა, მაიკ პენსი საქართველოში მეუღლესთან ერთად 31 ივლისს ჩამოვიდა. ეს ვიზიტი დროში ემთხვევა ვაზიანში დაწყებულ მასშტაბურ ქართულ-ამერიკულ სამხედრო წვრთნას — „ღირსეული პარტნიორი“, რომელშიც 8 ქვეყნის სამხედროები მონაწილეობდნენ.

მაიკ პენსის ტურნე მიზნად ისახავდა პრეზიდენტ ტრამპის მესიჯის გადაცემას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, რომ „ამერიკა, უპირველეს ყოვლისა, არ ნიშნავს ამერიკის მარტო ყოფნას“ და რომ ამერიკა მუდამ მზად არის ერთგული პარტნიორების მხარდაჭერისთვის. მაიკ პენსმა 1 აგვისტოს თბილისში გარკვევით თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მკაცრად გმობს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაციას, არასოდეს შეეგუება იმ ფაქტს, რომ თბილისიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში რუსული ტანკები დგას და, თუკი რუსეთს ამერიკასთან კარგი ურთიერთობის დამყარება უნდა, მან აუცილებლად უნდა შეცვალოს თავისი დესტრუქციული პოლიტიკა:

„ამერიკის შეერთებული შტატები მკაცრად გმობს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მეთაურობით, ამერიკის შეერთებული შტატები დაუპირისპირდება ნებისმიერი სახელმწიფოს ნებისმიერ დროს გამოხატულ ნებისმიერ განზრახვას, რომელიც ძირს უთხრის ამ უცვლელ პრინციპს. პრეზიდენტი ტრამპი მოუწოდებს რუსეთს, შეწყვიტოს დესტაბილიზაციის გამომწვევი ქმედებები. დღეს აქ ჩემი მიზანია, ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ დავუდასტურო ეს მესიჯი“.

მართალია, დასმული შეკითხვის საპასუხოდ, მაიკ პენსმა იქვე განმარტა, რომ თუკი ნატოს ნებისმიერი წევრი ქვეყნის მიმართ აგრესიის შემთხვევაში რუსეთს ამერიკა მყისიერად და, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც უპასუხებს, არაწევრი ქვეყნის — საქართველოს — შემთხვევაში, ცხადია, ეს ასე ვერ იქნება. სამაგიეროდ, ვაშინგტონი საქართველოს ჰპირდება მტკიცე მხარდაჭერას კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტაში, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების პროცესში და ასევე ევროატლანტიკური ინტეგრაციის დაჩქარების საქმეში.

ეს ფაქტი ადასტურებს ორ ქვეყანას შორის მტკიცე სტრატეგიული ურთიერთობების არსებობას და ხაზს უსვამს ურთიერთნდობის მაღალ ხარისხს.

* * *

2017 წელი, მართლაც, განსაკუთრებით აქტიური და აქტუალური იყო ამერიკა-საქართველოს დაახლოების ჭრილში. ძლიერი და მთავარი სტრატეგიული პარტნიორისგან საქართველომ არაერთი პოლიტიკური თუ პრაქტიკული ხასიათის მხარდაჭერის დასტურიც მიიღო — მათ შორის, გასულ წელს საქართველოს გაუჩნდა შანსი შეისყიდოს ჯაველინის (Javelin) სისტემის ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები, რომლებიც ქვეყანას ჯავშნოსანი სამხედრო ტექნიკის ეფექტიანად მოგერიების საშუალებას მისცემს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილება საქართველოსთვის მესამე თაობის ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების მიყიდვასთან დაკავშირებით ნოემბერში თავდაცვითი უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის სააგენტომ გაახმაურა. არავინ დავობს, რომ ჯაველინის სისტემის ჯავშანსაწინააღმდეგო კომპლექსები მნიშვნელოვნად გააძლიერებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს და აამაღლებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილე ლელა ჩიქოვანმა აღნიშნა, ეს ფაქტი საქართველოსა და შეერთებული შტატების განსაკუთრებულ ურთიერთობებზე მიუთითებს:

„ეს ფაქტი ადასტურებს ორ ქვეყანას შორის მტკიცე სტრატეგიული ურთიერთობების არსებობას და ხაზს უსვამს ურთიერთნდობის მაღალ ხარისხს. ამასთან, ეს არის აღიარება თავდაცვის უწყებაში მიმდინარე რეფორმებისა და ტრანსფორმაციის მიმართულებების სისწორისა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი რამ: ჯავშანსაწინააღმდეგო სისტემები ატარებს თავდაცვით ხასიათს, ემსახურება საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და ვერ გამოიყენება ვერც ერთი ქვეყნის წინააღმდეგ“.

თბილისის ასეთი პოზიციის მიუხედავად, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ საკითხმა გააბრაზა რუსეთი. ჟენევის მოლაპარაკებების ტრადიციულად უშედეგოდ ჩავლილი 42-ე რაუნდის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში „დამღუპველად“ არის მოხსენიებული შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილება საქართველოსთვის „ჯაველინის“ სისტემის ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების მიყიდვის თაობაზე:

„ეს არის ვაშინგტონსა და თბილისს შორის 2008 წლის შემდეგ გაფორმებული ყველაზე მსხვილი სამხედრო გარიგება, რომელიც, თავისი არსით, საქართველოს ახალი სახიფათო ავანტიურებისკენ უბიძგებს... ამ კონტექსტში, აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა დაადასტურეს, რომ სავსებით გამართლებულად და დროულად მიიჩნევენ სამხედრო სფეროში რუსეთის მიერ მათთვის აღმოჩენილ დახმარებას“.

რუსეთის აგრესიული საოკუპაციო პოლიტიკა და დესტრუქციული ქმედებები 2017 წელსაც არაერთხელ აისახა მსოფლიო ლიდერების განცხადებებსა თუ საერთაშორისო დოკუმენტებში. ოკუპირებული საქართველოს პრობლემები ფართოდ აისახა აშშ-ის შიდაპოლიტიკურ გადაწყვეტილებებშიც. 2 აგვისტოს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა კონგრესის ორივე პალატის მიერ დამტკიცებულ ორპარტიულ საკანონმდებლო აქტს, რომელიც მიზნად ისახავს ძირითადად ეკონომიკური სანქციების რეჟიმის გაძლიერებას რუსეთის წინააღმდეგ და ამით ბევრისთვის კიდევ ერთხელ დადასტურდა შეერთებული შტატების მტკიცე გადაწყვეტილება — არ დახუჭოს თვალი რუსეთის დესტრუქციულ პოლიტიკაზე მეზობელ ქვეყნებსა და, მათ შორის, საქართველოსთან მიმართებით. დოკუმენტში სერიოზულ საფრთხედ არის შეფასებული საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მიმართ რუსეთის მხრიდან გამოვლენილი აგრესიული და დესტრუქციული ქმედებები. რუსეთის ზეგავლენების შესამცირებლად გამოყოფილია მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა.

13 დეკემბერს პრეზიდენტმა ტრამპმა ხელი მოაწერა ასევე აშშ-ის 2018 წლის ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტს, რომელიც ამერიკის სამხედრო დანახარჯებს განსაზღვრავს და რომლის ტექსტშიც ასევე დიდი ყურადღება დაეთმო რუსეთის მიერ შევიწროებული ქვეყნების და, მათ შორის, საქართველოს პრობლემებს. აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტი ითვალისწინებს მილიარდობით დოლარით დაფინანსებას ევროპის შეკავების ინიციატივის პროექტისთვის, რომელიც დონალდ ტრამპის წინამორბედის, ბარაკ ობამას პრეზიდენტობისას დაიწყო და რომელიც მიზნად ისახავს თავდაცვის გაძლიერებას აშშ-ის რუსეთის მზარდი სამხედრო მოქმედებებით შეშფოთებული ევროპელი მოკავშირეებისთვის. მანამდე კი იყო კონგრესის მიერ დამტკიცებული და პრეზიდენტ ტრამპის მიერ ხელმოწერილი საბიუჯეტო კანონი, რომლის თანახმადაც, შეერთებული შტატები არ ითანამშრომლებს იმ ქვეყნებთან, რომლებიც აღიარებენ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობას.

ლელა კუნჭულია

ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲝᲒᲘ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ 2018 ᲬᲔᲚᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲑᲡ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲝᲠᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲘᲡᲔᲕ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲐᲚᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲢᲠᲘ�გᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲕᲔᲠ ᲩᲐᲘᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ. ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲝᲒᲘ ᲗᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲡ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲡ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ 2017 ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲒᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ? ᲐᲛ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲝᲠᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲘᲡᲔᲕ „ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲘᲐᲚᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ“

– ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, რაც მოხდა 2017 წელს და ეს არის შარშანდელი ტენდენციის გაგრძელება, ეს არის ძალაუფლების კონსოლიდაცია „ქართული ოცნების“ ხელში. ეს შეიძლება, შეაფასო როგორც დადებით, ასევე ნეგატიურ მოვლენად, მაგრამ ფაქტია, რომ ერთადერთი ძალა, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, ეს არის „ქართული ოცნება“. შესაბამისად, მიღებულ გადაწყვეტილებებზე ამ პოლიტიკურ ძალას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა.

გარდა ამისა, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ „ქართული ოცნება“ არ არის კლასიკური პოლიტიკური ორგანიზაცია. ის არის სხვადასხვა ინტერესთა თუ გავლენათა ჯგუფების გამაერთიანებელი პოლიტიკური სტრუქტურა. ეს ნათლად დავინახეთ ფრაქციების დაყოფის თვალსაზრისითაც, როდესაც უმრავლესობის შიგნით შეიქმნა დამატებითი ფრაქციები. ესეც ლოგიკური პროცესია, რადგან ბიზნეს-თემების ლობისტებს გააჩნიათ სხვა ინტერესები, მაჟორიტარებს, სოციალისტებს, ლიბერალურ ფრთას, ყველას თავისი ინტერესი აქვს.

ამდენად, ჩვენ ვხედავთ, რომ კონსტიტუციის და სხვა პროცესების მიღებაც ხდება კონსოლიდირებული კონსენსუსის საფუძველზე, ანუ, „ოცნება“ შიგნით ახდენს მოლაპარაკებას და ეძებს კომპრომისებს. „ოცნებას“ ყველაზე მეტ წინააღმდეგობას უწევს თავად „ოცნება“. იგივე მაჟორიტარული წესის გაუქმება და 2020 წლისთვის გადატანა, მიწის გასხვისების საკითხი, მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაცია და ა.შ და ა.შ.

ყველა ეს საკითხი მიიღება მხოლოდ „ოცნებაში“ გაჩაღებული მწვავე შიდა დისკუსიების შედეგად. დანარჩენი ოპოზიცია თამაშობს აქსესუარის, პოლიტიკური დეკორაციის ფუნქციას. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავსვათ პროგნოზი – „ქართული ოცნების“ ოპოზიცია, ისევ „ოცნების“ წიაღში შეიქმნება. ამ რღვევის დასაწყისს და „ოცნების“ წიაღში სხვა ოპოზიციური ძალის ჩამოყალიბების პროცესს თვალყური უნდა ვადევნოთ 2018 წელს.

– ეს პროცესი უკვე დაიწყო. თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ჩვენთან ინტერვიუში დააანონსეთ უმრავლესობის შიგნით სამი ახალი ფრაქციის შექმნა, რაც ჩემმა კოლეგებმა და ოპოზიციამ პრემიერსა და „უცნობს“ შორის არსებულ დაპირისპირებას დაუკავშირეს...

– რღვევის პროცესი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ეს არის იმ პოლიტიკური ტრადიციის გაგრძელება, რაც ამ ქვეყანაში ჩამოყალიბდა. გვახსოვს „მრგვალი მაგიდა“ – თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი „მრგვალ მაგიდას“ წარმოადგენდნენ, როდესაც დაუპირისპირდნენ ზვიად გამსახურდიას. იგივე პროცესს ვადევნებდით თვალს „მოქალაქეთა კავშირში“, როდესაც ე.წ. ახალგზრდა „რეფორმატორთა“ ბირთვი შეიქმნა, გაიყო ჟვანია-სააკაშილის ფრაქციებით, მერე ეს ფრაქციები გაერთიანდნენ და მოხდა ე.წ. „ვარდების რევოლუცია“. როდესაც წინა გამოცდილებას აკვირდები, მეთოდოლოგიურად, ეს ინდუქციური დაკვირვება გაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ მსგავსი ტენდენცია ამ შემთხვევაშიც განხორციელდება. ერთადერთი, ჩვენ დღეს ვერ ვხედავთ ლიდერებს. ჯერ ინსტიტუციურად მოხდა ინტერესების გამიჯვნა და ფრაქციის სტატუსის ჩამოყალიბება. მომავალ წელს ჩვენ უნდა ვიხილოთ კონკრეტული ლიდერები, კონკრეტული განაცხადები, თავისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური პოზიციებით. რაც შეეხება სხვა მნიშვნელოვან პროცესებს, ქვეყანაში არის ეკონომიკური ზრდა. ჩვენ შეიძლება, ვისაუბროთ სოციალურ ფონზე, რომელიც არ არის სახარბიელო, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო ყველაზე მზარდი ეკონომიკური ტემპების დემონსტრირებას ახდენს რეგიონში. ჩვენ ვხედავთ ტურისტების მომატებულ ნაკადს. მიმდინარეობს მშენებლობები და მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

– 2017 წელს საინტერესო მოვლენა იყო დაპირისპირება „ნაციონალურ მოძრაობაში“, რაც პარტიის გაყოფის საფუძველი გახდა...

– გარდა ამისა, ჩვენ ვხედავთ მწვავე დაპირისპირებას ოპოზიციასა და „ოცნებას“ შორის. ვგულისხმობ „ნაციონალური მოძრაობის“ შეტევებს და უკრაინაში სააკაშვილის აქტიურობას, რაც გარკვეულ სტიმულს აძლევს მათ. შემთხვევითობად არ მიმაჩნია მელიას თავდასხმა კვირიკაშვილზე. რამდენად ადეკვატური იყო კვირიკაშვილის პასუხი, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ვითარება, რომელსაც სააკაშვილი ქმნის უკრაინაში, რაღაცნაირად ეხება საქართველოს, რაც იწვევს „ნაციონალური მოძრაობის“ უფრო მეტ გაღიზიანებას და აგრესიას მმართველი პარტიის მიმართ.

– რაც შეეხება წლის მოვლენებს, თვითმმართველობის არჩევნების შედეგები იყო ძალიან საინტერესო მოვლენა, როდესაც ამომრჩეველმა პოლიტიკური ველიდან გაიყვანა რამდენიმე პარტია, დამოუკიდებელი კანდიდატი გავიდა მეორე ადგილზე, დამარცხდა მთავარი ოპოზიციური ძალა...

– გეთანხმებით და მადლობა, რომ შემახსენეთ. შეიძლება, ეს არ იყოს გლობალური შეშფოთების საგანი, მაგრამ ეს არის გარკვეული სიგნალი „ოცნებისთვის“, როდესაც დამოუკიდებელი კანდიდატი, პარტიული მხარდაჭერისა და პარტიული ინფრასტრუქტურის გარეშე გადის მეორე ადგილზე. ყოველთვის ვამბობდი, რომ ელისაშვილი, სოციოლოგიის მიხედვით, მცირედით უსწრებდა ზაალ უდუმაშვილს, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავდა თავისი მხარდაჭერები, კოორდინატორები და ა.შ. მეგონა, რომ ამ საორგანიზაციო რესურსის შედეგად ის მოახერხებდა და გაიმარჯვებდა ელისაშვილზე. უნდა ვაღიაროო, რომ შევცდი.

ელისაშვილმა აჩვენა მეორე ადგილი, რაც იმას ნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა ხროვა ძალზედ შესუსტებულია.

ასევე, ელისაშვილის წარმატება ნიშნავს იმას, რომ ამომრჩეველთა ის სეგმენტი, რომლისთვისაც მიუღებელია „ოცნებაც“ და მეტად „ნაცმოძრაობა“, ეს არის მეტად მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელიც უახლოვდება 20%-ს. შესაბამისი უნარების მქონე ლიდერით და პარტიული სტრუქტურის მხარდაჭერის პირობებში, ამ ძალამ შეიძლება, გარკვეული განაცხადი გააკეთოს და როგორც ალტერნატიული პოლიტიკური ძალა, დაუპირისპირდეს „ქართულ ოცნებას“.

თუმცა, მოსალოდნელია „ოცნების“ გახლეჩვა და მეორე პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება, რომელმაც შესაძლებელია, რომ მოახერხოს ამ საპროტესტო ნიშის მნიშვნელოვანი ნაწილის დაუფლება, ანუ „ოცნების“ წიაღში შექმნილი მეორე პოლიტიკური ძალა შეეცდება ზომიერად პროტესტულად განწყობილი და ნეიტრალური ამომრჩევლის მხარდაჭერის მოპოვებას.

– ახალი მთავრობით და ახალი გამოწვევებით შეხვდა ქვეყანა ახალ წელს. მთავრობის ხელმძღვანელი ისევ გიორგი კვირიკაშვილია, მაგრამ განხორციელდა სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები. კვირკაშვილის მთავრობის ახალი სახე არის გიორგი გახარია იმ თვალსაზრისით, რომ მან ჩაიბარა შს სამინისტრო. როგორც ეკონომიკის მინისტრი, გახარია არ იყო აქტუალური ფიგურა, რასაც ვერ ვიტყვით ამ შემთხვევაში. დაანონსებული რეფორმების ფონზე, რამდენად დიდი გამოწვევევის წინაშე დგას გიორგი გახარია?

– თავად მინისტრი აღიარებს ამ გამოწვევებს და სწორედ ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება ტოტალური რეფორმირების გატარების შესახებ. რეფორმები გაგრძელდება საპატრულო პოლიციაში, რეფორმები შეეხება კრიმინალურ პოლიციას და აქ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ უნდა მოხდეს საგამოძიებო და დეტექტური ფუნქციის გაყოფა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან რეფორმები ასევე ხორციელდება სასამართლოში და პროკურატურაში. ის, რომ ბრალდების საფუძვლიანი წარდგენის აუცილებლობა დგას კრიმინალური პოლიციის წინაშე, ეს ფაქტია.

გარდა ამისა, მინისტრი საუბრობს ნდობის მოპოვების აუცილებლობაზე. ამბობს, რომ არის გარკვეული პრობლემები. შეუძლებელია წარმატებული რეფორმის განხორციელება, წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, თუკი პოლიციას არ ექნება საზოგადოების მხარდაჭერა. მინისტრმა თავად თქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას გააჩნდა ოპერატიული ინფორმაცია, მას არ სიამოვნებს ასეთი ტიპის საპოლიციო კონტროლის ჩატარება.

უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრი არის გულწრფელი, არ მალავს პრობლემებს და ჩვენ პირველად ვნახეთ მინისტრი, რომელიც საზოგადოებას აქტიურად აცნობს თავის ხედვებს, კონცეფციას და მოსაზრებებს რეფორმებთან დაკავშირებით. ამდენად, ეს იწვევს გარკვეულ სიმპათიას და მხარდაჭერას მოსახლეობის მხრიდან, რომ ის აქტიურად ხსნის სამინისტროს პოზიციას და ამასთან ერთად არის თვითკრიტიკულიც და საღად და რაციონალურად ახდენს არსებული ვითარების ანალიზს.

– როგორი იყო გიორგი კვირიკაშვილის მთავრობა თავისი წარმატებებით და წარუმატებლობით?

– მე დადებითად ვაფასებ პრემიერ-მინისტრის საქმიანობას. უზარმაზარი რუტინული საქმიანობა არის განხორციელებული და მათ შორის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. 2 წელია, რაც პრემიერ-მინისტრია კვირიკაშვილი და ჩვენ ვხედავთ პოზიტიურ ძვრებს. ვხედავთ, რომ ეკონომიკური გარემო უფრო მიმზიდველი ხდება ინვესტორებისთვის, ვხედავთ ინვესტიციების ზრდას, ვხედვათ უპრეცედენტო მასშტაბების მქონე პროექტს, რომელიც ხორციელდება ანაკლიაში. ასევე ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტი, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც გააძლიერებს საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით მისიას რეგიონში.

რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავდი გიორგი გახარიას, რომელიც ლოგიკურად გააზრებულ კონცეფციებს აცნობს მოსახლეობას, რაც ამ მთავრობას ნაკლებად ახასიათებს და განსაკუთრებით ცალკეულ მინისტრებს.

რაც შეეხება სხვა მინისტრებს, ძალიან ეფექტურია კახი კახიშვილი. ძალიან ეფექტურად ატარებს რეფორმებს პენიტენციურ სისტემაში. ამასთან ერთად, კახი არის ძალიან ტექნოლოგიური იმ საკითხებთან მიმართებაშიც, რომელიც ეხება საზოგადოებასთან ურთიერთობას. კახიშვილი კარგი მენეჯერია, მაგრამ ამასთან ერთად, მან მოახერხა პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებული საკუთარი ხედვის, კონცეფციის განხორციელება და მნიშვნელოვნად მოაწესრიგა სისტემა, რომელიც ამ ქვეყანაში ერთ-ერთი პრობლემური იყო. მას შემდეგ, რაც კახი ხელმძღვანელობს ამ სისტემას, არ გვესმის ინფორმაცია პატიმრის წამებასა და არადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებით. პირიქით, მესმის სისტემის ჰუმანიზაციისა და პოზიტიური ძვრების შესახებ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

– ახალმა კადრმა ჩაიბარა განათლების სამინისტრო, გახარიას მსგავსად, ამ მიმართულებითაც დაანონსდა მნიშვნელოვანი რეფორმები. შეიძლება ითქვას, რომ ამ უწყებას ჰქონდა ჩავარდნა?

– სამწუხაროდ, ვერაფერს ვერ ვიტყვი ამასთან დაკავშირებით. ნაკლებად ვიცნობ განათლების მინისტრს. ვფიქრობ, რომ ჯერ ნაადრევია შეფასება, სულ რამდენიმე თვეა, რაც ახალი მინისტრი შეუდგა საქმიანობას.

– ელოდებით ცვლილებებს 2018 წელს?

– კი. მე ველოდები სერიოზულ ცვლილებებს.

ესაუბრა
ᲗᲐᲛᲗᲐ ᲫᲐᲠᲩᲐᲕᲐ

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲠᲔᲒᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ, ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲠᲘᲜᲐ ᲤᲠᲣᲘᲫᲔ. ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘᲐ OGP-ᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲒᲔ�გᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ.

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, �კᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ, ᲡᲐ�კᲣᲗᲐᲠᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ. ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲙᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲨᲔᲘᲡ�წᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, �კᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲨᲘ ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲡ.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲓ�გᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲘᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲠᲔᲒᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ.

დასაბუთებული ვარაუდები



კვლავ „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ

გაზეთში „ქართული სიტყვა“ (№43, 1-7 ნოემბერი, 2017) მართლაც საყურადღებო წერილები გამოქვეყნდა საერთო სათაურით „ჰერეთის ერისთავი შოთა“. ერთის ავტორი გახლავთ ლადო ჭელიძე, მეორესი — ნიკა სანებლიძე.

ლადო ჭელიძე პავლე ინგოროყვას კვალს ადგას და ასწლოვან მატიანეზე დაყრდნობით ცდილობს, მონახოს არაერთი მსგავსება ამ ტექსტისა „ვეფხისტყაოსანთან“. მის მიერ მოხმობილი ამონარიდები და კომენტარები, თანაც ორმხრივი კვლევის სიზუსტე-მინიშნებანი აშკარად ცხადყოფს, რომ შოთა რუსთაველის წარმომავლობა კი არ ირკვევა მხოლოდ ან „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის სავარაუდო თარიღი, არამედ უამრავ დღემდე შენარჩუნებულ მოსაზრებებს ელის გადაფასება, სულ სხვა სახეს მიიღებს პოემის ბიოგრაფია.

წერილის ავტორთან საკამათო ნამდვილად არაფერია.პირიქით, მის მიერ თავმოყრილი ინფორმაცია, თანაც მეტად ფასეული და მნიშვნელოვანი, რუსთველოლოგებს შეახსენებს, რომ უფრო ღრმად ჩახედონ პავლე ინგოროყვას კვლევით მონაპოვარს, შესაძლებელია, ამგვარმა შემობრუნებამ სხვა რუსთველოლოგიური საკითხების კვლევაც დაჩქაროს.

ფაქტობრივად, მეორე წერილიც პირველის გაგრძელებას წარმოადგენს. ნიკა სანებლიძე თუნდაც როსტევან მეფისა და ავთანდილის ნადირობის სცენის ახლებურად წაკითხვის შემოთავაზებით მონღოლების დროინდელ საქართველოს წვდება და მისი დაკვირვებაშედეგები ნათლად მიუთითებს, რომ უფრო მართებული იქნება გადაწყვეტილება, პოემას ამ ეპოქაში შექმნილად თუ მივიჩნევთ.

ამ მკვლევარის მსჯელობაც საბუთიანია და დამაჯერებელი, ყოველ შემთხვევაში ის, რასაც გვთავაზობს, გულგრილად ვერ მოეკიდები. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ იმისეულ ანალიტიკურ მიღწევას, თუნდაც ცოტა მომხრე ეყოლოს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შემოთავაზებული მეცნიერული ნარკვევი სანიმუშოა არა მხოლოდ ფილოლოგიურ-ისტორიული სიღრმეების ამოტრიალებით, არამედ, საერთოდ, მხატვრული ტექსტის დინებების ამოცნობის მცდელობითაც.

როგორც ჩანს, „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა კიდევ მოითხოვს გარკვეულ დროსა და შემზადებას, ჯერ კიდევ არაა სრული სიმძლავრით ამუშავებული მისი გახსნისა და შემეცნების ლაბორატორია. მართალია, ჩვენგან შორეული მხატვრული ტექსტები ხშირად მოითხოვენ ირიბ კვლევას ანუ გარე-გარე გვიწევს მათი ანკეტის შევსება, მაგრამ წარმოუდგენელია, მთავარი გასაღები თვით ამ ტექსტებში არ დაიძებნებოდეს, თუნდაც ამისათვის ფსკერამდე მოგიწიოს ჩაღწევა. არაერთი კარგი გამოკვლევა წაგვიკითხავს „ვეფხისტყაოსანზე“ და, ვფიქრობთ, ნიკა სანებლიძის სვლა-გეზიც ამგვარ დახასიათებას იმსახურებს.

თვითდაზღვევისთვის არ ვაცხადებ: არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“, არაერთი ჩვენი სხვა მნიშვნელოვანი მხატვრულ-ისტორიული ქმნილება, უამრავ მიზეზთა გამო, შესაძლებელია, ვერც ეღირსოს არა მხოლოდ პირველყოფილ რეკონსტრუქციას, არამედ ხელთ რაც გვაქვს, იმის დამაბოლოვებელ შესწავლასაც კი, ყოველთვის იქნება დავა და ბაასი ამ უდედნო ძეგლების ავტორობიდან მოყოლებული უკანასკნელი სიუჟეტური ფიცარის სამშენებლო ხარისხის შესახებ, ვინ დაიჯერებს, ბოლო წერტილია დასმული, ანუ ამოწურულია ყველა მისასვლელი ბილიკიც კი ამ ძეგლების პერიფერიებზეცა და ეპიცენტრისაკენაც, ნატამალიც არაა დარჩენილი გამოსაცნობი და ა.შ. მაგრამ მოუსვენრად რომ იქნები და გაწუხებს შენი განძის სინაკლულე, ეს ყველაზე კეთილშობილური თვისებაა მკვლევარისათვის.

ამასთანავე, გასაგებია, თუნდაც თვალშისაცემი მიღწევა ვარაუდად რომ უნდა ჩაითვალოს, თუნდაც ძალზედ მიახლოებულ ვარაუდად. სრული სიზუსტე მხატვრულ ტექსტზე მუშაობისას თითქმის არ მიიღწევა, მაგრამ თუ მკვლევარს შეუძლია „გამოსტყუოს“ მას საბალავრო სათქმელი, კარგ მაძებართან გვქონია საქმე.

თუ მოთმინებით დავაკვირდებით, ამგვარ უტყუარ საფიქრალს აღგვიძრავს ნიკა სანებლიძის „ქირურგია“. მან შეძლო „კანონის დაცვით“ ტექსტის ალაპარაკება. სხვაგვარადაც კი წამიკითხავს სხვისი და ისიც შესანიშნავი იყო, მაგრამ მასე — არა, ამიტომაც მიმაჩნია ანგარიშგასაწევად.

ასევე უნდა ითქვას ლადო ჭელიძის ნაჯაფარზეც. ორთავე წერილში ზერეულობის კვალიც არ ჩანს, ყველაფერი სარწმუნოდ, გასაგებად, საბუთამოკრუული ხელისგულზე გვიდევს. ეს გზა კი პავლე ინგოროყვადან მოდის, რომელსაც უდიდეს ინტუიცია-განჭვრეტილობასთან ერთად, იმდენი ინტელექტუალური ძალ-ღონეც შესწევდა, დაურიდებლად ხსნიდა ისტორიულ ჟამმიყუჩულობაში ჩაკარგულ საბუთებით სავსე სკივრებს.

გია ხოფერია

როსტომ ჩხეიძის მინაწერი

თუ რაიმე იყო ხელმისაწვდომი პავლე ინგოროყვას მეცნიერული მემკვიდრეობიდან, უთუოდ რუსთველოლოგიური თხზულებანიც.

ოღონდ უფრო იმ მკითხველთა თუ მკვლევართათვის, რომელნიც უშუალოდ დაინტერესებული იყვნენ იმ ეპოქითა და თემატიკით.

შოთა რუსთველის დაბადების 850 წლისთავისადმი მიძღვნილმა ოთხტომეულმა: პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიურ თხზულებათა სერიამ — ახლებურად ააელვარა ეს ნაღვაწიც და გაუღვივა ცნობისწადილი გაცილებით უფრო ბევრ ადამიანს, ზოგადი განათლებისათვის გარკვეულიყვნენ ამ მონაპოვრის სიღრმეებში.

მეტიც:

მათთვისაც კი, რომელნიც კარგად იცნობენ და აფასებენ პავლე ინგოროყვას „ქართული ცივილიზაციის ისტორიას“, ეს ოთხტომეული, გარეგნული ანუ ფორმატის მოხერხებულობის გამო, აღმოჩნდა ერთგვარი სიურპრიზი და ხელახლა და თავიდან ბოლომდე ჩაუსხდნენ ამ ნაშრომთა კითხვა-შესწავლას.

და კიდეც გაუნათდათ ბევრი ისეთი რამ, რისთვისაც ადრე შესაფერისი ყურადღება არ მიექციათ.

ასე რომ:

ამ მხრივაც გაამართლა დავით გალეგაშვილის იდეამ და მონდომებამ, და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თანადგომამ, მკითხველს ერთბაშად მიეღო ეს ოთხტომეული, თანდათანობით მათი ექო სულ უფრო მკვეთრი რომ შეიქნება.

აგერ თუნდაც:

თუ ვინმეა ჩახედული პავლე ინგოროყვას მონუმენტური მეცნიერული მემკვიდრეობის სიღრმეებში, მათ შორის ერთი უპირველესთაგანნი: ლადო ჭელიძე და ნიკა სანებლიძე.

თუ ვინმეს მიუძღვის წვლილი პავლე ინგოროყვას სახელის აღდგენა-დაფასებასა და პოპულარიზაციაში, ერთ უპირველესთაგანთ: ლადო ჭელიძესა და ნიკა სანებლიძეს.

და თვით მათთვისაც შემაგულიანებელი გამოდგა რუსთველოლოგიურ თხზულებათა ეს ოთხტომეული, და ისეთი შთამაგონებელი, მეტად საგულისხმო მოსაზრებებამდე და დასკვნებამდე რომ მივიდნენ.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ერთ-ერთ თავყრილობაზე მათი გამოსვლები კი იქცა საგაზეთო პუბლიკაციების — „ჰერეთის ერისთავი შოთა“ — სათავედ („ქართული სიტყვა“, 2017, 1 ნოემბერი).

ამჟამად მათ საფუძველზე ამზადებენ ვრცელ სამეცნიერო ნარკვევებს, რომელთაც ადვილი შესაძლებელია, ცალკე წიგნიც შეადგინონ.

ლია კარიჭაშვილის, აღიარებული რუსთველოლოგის, გამოხმაურებამ „ახალი საგულისხმო გარემოებანი შოთა რუსთაველის შესახებ“ („ქართული სიტყვა“, 2017, 6 დეკემბერი) დაადასტურა მათი შეხედულებების მეცნიერული სიახლეც და ღირებულებაც და ამ მიმართულებით კვლევის პერსპექტივაც და აუცილებლობაც.

ამჯერად ქვეყნდება პროზაიკოსისა და მეცნიერის გია ხოფერიას გამოხმაურება, „დასაბუთებული ვარაუდები“, ისიც მოწონებითა და თანადგომით რომ აგულიანებს მკვლევარებს და ერთხელ კიდევ ადასტურებს პავლე ინგოროყვას კვლევა-ძიების შთამაგონებელ ძალას.

ნიშანდობლივია, რომ ეს გამოხმაურება იბეჭდება „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, გაზეთისა, რომელიც მხურვალედ უჭერდა მხარს ამ ოთხტომეულის გამოცემას და მკითხველს აცნობდა თვითეული ტომის ზოგად შინაარსსა და მნიშვნელობას.

ჯერ კიდევ რამდენი რამაა გამოსამზეურებელი პავლე ინგოროყვას მეგზურობითა და შთაგონებით, და ამ გზაზე ყოველთვისაც გვექნება „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის იმედი.

დანიელ ორენი თბილისის ოპერის სცენაზე ორ კონცერტს გამართავს

თანამედროვეობის უდიდესი დირიჟორი დანიელ ორენი თბილისის ოპერის სცენაზე ორ კონცერტს გამართავს. 16 და 18 იანვარს, 20 საათზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი წარმოგიდგენთ კონცერტს — „ოპერა — ფანტაზია“, რომელთაც ჩვენი დროის უდიდესი მაესტრო, თბილისის ოპერის თეატრის მუსიკალური დირექტორი დანიელ ორენი უდირიჟორებს.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებს თბილისის ოპერის თეატრის გუნდი და ორკესტრი. შესრულდება ფრაგმენტები ვერდის ოპერიდან „ბედის ძალა“, „დონ კარლოსი“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, ნაბუკო“, „მაკბეტი“, „აიდა“, ასევე როსინის ოპერიდან „სევილიელი დალაქი“, ბიზეს ოპერიდან „კარმენი“, პუჩინის ოპერიდან „მანონ ლესკო“, მასკანის „სოფლის ღირსება“; ასევე, რაველის „ბოლერო“.

დანიელ ორენი სხვადასხვა დროს მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებდა იტალიის ისეთ თეატრებში, როგორებიცაა ტრიესტეს Teatro Verdi, ნეაპოლის Teatro San Carlo, გენუის Teatro Carlo Felice. 2007 წლიდან ორენი სალერნოში (იტალია) ვერდის სახელობის ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია, 2018 წლიდან კი თბილისის ოპერის თეატრის მუსიკალური დირექტორი.

მიწვეული დირიჟორის სტატუსით, ორენი აქტიურად გამოდის ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ ოპერაში, ლონდონის კოვენტ გარდენში, ვენის შტაატსოპერაში, პარიზის, სან-ფრანცისკოს, ბუენოს-აირესის, თელ-ავივის, ტოკიოს საოპერო თეატრებში, ასევე არენა დი ვერონაზე. მაესტრო უმეტესად საოპერო ჟანრზეა ფოკუსირებული, თუმცა, სხვადასხვა დროს მას სიმფონიური მუსიკის კონცერტები გაუმართავს მსოფლიო კლასის ისეთ კოლექტივებთან, როგორებიცაა ბერლინის, ისრაელის, მიუნხენის რადიოს ფილარმონიული ორკესტრები.

ვაჟა ბერიძე: ტრამპი შეიძლება, გადაიქცეს მეამბოხე მილიარდერის აჯანყებად პოლიტიკური კლასის წინააღმდეგ

„ბოლოდროინდელმა ფაქტებმა ცხადყო, რომ თვით ამერიკაც კი შესაძლოა, იზოლაციაში აღმოჩნდეს“, — აცხადებს For.ge-სთან საუბარში ექსპერტი ვაჟა ბერიძე და 2018 წელს მსოფლიოში მოსალოდნელი პრობლემების შესახებ ამახვილებს ყურადღებას.

— რა გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს მსოფლიო 2018 წელს?

— საფრთხეები რეალურია. თანამედროვე მსოფლიოში არაერთგვაროვანი პროცესები მიმდინარეობს. ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაცემას მოჰყვა, არ შედგა. ყოველ შემთხვევაში, ახალი მსოფლიო წესრიგი სერიოზულ ტრანსფორმაციას განიცდის. დასავლეთი ძველებურად ერთსულოვანი აღარ არის, რადგან ახალი გამოწვევები, რაც მის წინაშეა, დივერსიფიცირებულია.

ადრე თუ იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირი იყო ბოროტების იმპერია, დღეს უკვე ველარ ხვდებიან, რამდენი იმპერიაა და სად არის ეს იმპერია, საზღვარი წაშლილია. მაშინ იცოდნენ, რომ იქ სადღაც საზღვართან იწყებოდა საბჭოთა კავშირი ან ვარშავის ხელშეკრულების ბანაკი. ახლა უკვე დივერსიფიცირება სხვადასხვაა. მოუგერიებელი და დაუმარცხებელი ფაქტორებია სხვა ინტერესების ხარჯზე, როგორიცაა დემოკრატიული ბუმი ჩინეთსა და ინდოეთში, არაბულ სამყაროში, ზოგადად, მუსლიმანურ სამყაროში. ეს ყოველივე დასავლურ კეთილდღეობასა და სოციალურ დაცულობას უპირისპირდება, რაც სირიის კონფლიქტიდან გამომდინარე, დევნილთა ნაკადმაც კარგად წარმოაჩინა.

დასავლეთი დაუცველი და უმწეოა ასეთი გამოწვევების წინაშე, რადგან დასავლურ განვითარებას ბევრი ხარვეზი ახასიათებს. ამიტომაც ახლა მიმდინარეობს ტრანსფორმაცია და ახალი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება, სადაც გაზრდილია ჩინეთის, ინდოეთის, რუსეთის ეკონომიკებისა და სამხედრო ძლიერების როლი, ისევე, როგორც მათი ეკონომიკური პოტენციალი.

— და ასეთი ვითარების ფონზე რამდენად გაუჭირდება დასავლეთს ეროვნულ ინტერესთა დაცვა?

— ცხადია, დასავლეთს გაუჭირდება ეროვნული ინტერესების მკაფიო და თანმიმდევრული დაცვა, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ტრამპი მოწინააღმდეგეების სახელდებას ახდენს, რასაც შეერთებული შტატების წინა პრეზიდენტები არ აკეთებდნენ ღიად და საჯაროდ. მოწინააღმდეგეებს შორის ფიქსირდება რუსეთი და არა მარტო რუსეთი, არამედ ჩინეთი და სხვები, რომ არაფერი ვთქვათ რადიკალური ისლამის პოზიციების გაძლიერებაზე ჩვენს მახლობლად და მთელ მსოფლიოში. ამიტომ ძნელი საპროგნოზოა, როგორ წარიმართება მოვლენები, მით უმეტეს, რომ უსაფრთხოების მსოფლიო სისტემის რეორგანიზებას არავინ ჩქარობს, რადგან არ ჩანს მიმართულება, რომლისკენაც უნდა წავიდეს დღევანდელი მსოფლიო.

გაერომ თავისი თავი ამოწურა, შეერთებული შტატებისა და წამყვანი ევროპული ქვეყნების გარეშე მისი ტრანსფორმაცია არსებითად შეუძლებელია. ჩვენ ვიხილეთ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ჩატარებული კენჭისყრა ტრამპის წინადადებაზე იერუსალიმის დედაქალაქად გამოცხადებასთან დაკავშირებით, რომელმაც ცხადყო, რომ თვით ამერიკაც კი შესაძლოა, იზოლაციაში აღმოჩნდეს. ეს იყო შეერთებული შტატების ფაქტობრივი იზოლაცია, როცა 9 პატარა და ოდიოზურმა რეჟიმმა დაუჭირა მას მხარი, ხოლო დასავლეთმა ევროპამაც კი არ გაიზიარა აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაციის პოზიცია.

ეს მეტყველებს, რომ სისტემა საბოლოოდ ჩამოიშალა და ველარც ნატო შეასრულებს მსოფლიოს ზედამხედველის ფუნქციას, რადგან სამხედრო კონტინგენტის მომზადება კონფლიქტის რეგიონებში გადასასროლად ძალიან ძვირი ჯდება. ესეც რომ არ იყოს, ყოველმხრივ უზრუნველყოფილ საზოგადოებაში არ მოიძებნებიან ადამიანები, ნებაყოფლობით რომ აისხამენ იარაღს და ცხელ წერტილებში სადარაჯოზე წავლენ. ასე რომ, რთულია ვითარება და 2018-ში ველი ტენდენციის შენარჩუნებას, ანუ ცალკეული კერების მინავლებას, ცალკეული დაძაბულობის კერების წარმოშობას.

— პერიოდულად აპოკალიფსური გლობალური კონფლიქტების შესახებ ვისმენთ განცხადებებს. ასეთი კონფლიქტები მოსალოდნელია?

— გლობალური კონფლიქტისთვის ჯერჯერობით სიტუაცია არ მომწიფებულა, რადგან ერთმანეთთან დასაპირისპირებლად ჯერ მზად არ არის ორი მხარე. კერძოდ, რადიკალურ ისლამს არ აქვს იმის შესაძლებლობა, ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს დასავლური ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად აღჭურვილ ძალას, ხოლო გეოპოლიტიკური რეგიონული ინტერესების მატარებელ სუბიექტებს, თუნდაც იმავე რუსეთს, ჩინეთს არ აქვთ ძალა იმისა, რომ სერიოზულად დაუპირისპირდნენ დასავლეთს.

ეს მდგომარეობა ძალზე სახიფათო და, ამავე დროს, ფეთქებადსაშიშიცაა, რადგან მაღალ სისწრაფეზე ვინ რას მოიმოქმედებს, ვინ დაეცემა და ვინ წამოდგება, ძნელი სათქმელია. ასე რომ, დღევანდელი ტენდენცია სხვადასხვა ფორმით გაგრძელდება. ეს იქნება დანარჩენი შედარებით გონიერი მსოფლიოს ბრძოლა რადიკალურ-პოლიტიკური მიმართულებების წინააღმდეგ და ამას ექნება რეგიონული, ლოკალური ხასიათი და არა გლობალური.

— თქვენ აღნიშნეთ გაეროსა და ნატოს უფუნქციობის, ამერიკის იზოლაციის ფაქტების შესახებ. საინტერესოა, მსოფლიოს უსაფრთხოებას ვინ დაიცავს? მსოფლიოში წესრიგის დამყარებას აქამდე ამერიკა საკუთარ თავზე იღებდა, იერუსალიმის ფაქტორმა კი წარმოაჩინა, რომ ეს ის ამერიკა აღარაა, რომელსაც ადრე ვიცნობდით. როგორც ამბობენ, ტრამპი ძუნწია, მაგრამ ეს ვაჭრული სულისკვეთება აშკარად გამოვლინდა მის შანტაჟის ენით საუბარში, როცა იერუსალიმის საკითხის დაბლოკვის გამო ამერიკამ თანხა შეუმცირა გაეროს.

— რამდენად საფუძვლიანი იქნება დონალდ ტრამპის ფაქტორი, ამას ჩვენ ვნახავთ ამ საარჩევნო ციკლის შემდეგ, შეძლებს თუ არა იგი მეორე ვადით მოსვლას ხელისუფლებაში. თუ ამას ვერ შეძლებს, მაშინ ტრამპის ყოფნა ხელისუფლებაში ეს იქნება მეამბოხე მილიარდერის აჯანყება პოლიტიკური კლასის წინააღმდეგ. თავისთავად, ტრამპი პოლიტიკური კლასის ნაწილია, მაგრამ, ამავე დროს, ამ კლასის წინააღმდეგაა აჯანყებული.

მთლიანობაში, ტრამპი არსებითად მაინც პოზიტიური მოვლენაა მთელი მსოფლიოსთვის, რადგან მან გახსნა თამაში და იგი პირდაპირ აცხადებს იმას, რაც სურს დასავლეთს. ფარისევლობა, პირმოთნეობა, ორპირობა, რომელიც დასავლელი პოლიტიკოსების ნაწილს ახასიათებს, საკმაოდ სახიფათო იყო გლობალური მშვიდობისთვის. ახლა უკვე გასაგებია, ვის რა უნდა. ჩემი აზრით, ტრამპის ფაქტორმა გლობალური კონფლიქტის საფრთხე კი არ გაზარდა, არამედ შეამცირა.

მაინც ვფიქრობ, რომ ტრამპის აჯანყება არ დამთავრებულა, პოლიტიკური კლასი ასე იოლად არ დათმობს ხელისუფლებას. ჩვენ ვხედავთ, რომ, ფაქტობრივად, ამერიკის ხალხისა და საზოგადოებისთვის მიცემული ვერც ერთი პრინციპული დანაპირები ტრამპმა ვერ განახორციელა. ახლა რაღაც ზიგზაგებითა და სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობს კედლის აგება მექსიკასთან საზღვარზე. გარკვეულ ქვეყნებში მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემის ტრამპისეული ვერსია არ გავიდა და ა.შ. ეს გასაგებიცაა, ამერიკული დემოკრატია ხომ წარმომადგენლობითია, კონგრესი და სენატი სხვანაირად იღებს ინიციატივებს, თითქოსდა, დარაჯობს ტრამპს, რომ რაიმე ისეთი არ გააკეთოს, რაც ამერიკის ეროვნული ინტერესებისთვის საზიანო იქნება.

გააჩნია, როგორ წარიმართება მოვლენები აშშ-ში, რადგან მსოფლიო იცვლება, ჩვენ სხვა მსოფლიო გვექნება. სხვათა შორის, ახალ მსოფლიოში ადაპტირება ავტორიტარულ და შეზღუდული დემოკრატიის ქვეყნებს უფრო უადვილდებათ. თუნდაც იმავე რუსეთსა და თურქეთს, უზბეკეთსა და ყაზახეთს, ესენი არიან სპეციფიკური დემოკრატიების ქვეყნები, მათ გაცილებით უადვილდებათ ტრანსფორმაცია და ახალ სიტუაციასთან შეგუება, ვიდრე დასავლეთს.

ხომ ნახეთ, ერთიანი ევროპა რა დონეზეა? ფაქტობრივად, ესპანეთის სამეფო იშლება და ჯერჯერობით ვერაფერს უპირისპირებს ევროკავშირი კატალონიელი ხალხის უმრავლესობის ნებას. ვერც დემოკრატიამ უშველა ესპანეთს, ვერც ევროკავშირში გაერთიანებამ და ვერც მეფის ინსტიტუტმა. არადა, ქართველებსაც გვარწმუნებდნენ, თუ მეფობას აღვადგენთ, სწორედ მეფე იქნება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის გარანტი. ეს ასე ადვილი აღარ არის, რადგან თანამედროვე მსოფლიოში ვითარება იცვლება და, განსაკუთრებით, დემოგრაფიული ბუმის პირობებში მცხოვრები რეგიონების ინტერესები მატულობს, ისინი თავიანთ წილს ითხოვენ საყოველთაო კეთილდღეობის „ტორტიდან“, რასაც წინ ვერავინ აღუდგება.

ახლა დიალექტიკა აღარ გვიყვარს და დავივიწყეთ, მაგრამ რაოდენობრიობა უეჭველად გადავა თვისობრიობაში. ჭარბი მოსახლეობის ფაქტორი გასათვალისწინებელია. თუნდაც თურქები მოედვნენ ევროპას და ამით, ფაქტობრივად, მათი გავლენა გაიზარდა ევროპაში. რასაც ოსმალებმა ვერ მიაღწიეს ხმლით, ახლა თურქებმა შეიძლება უკვე მშვიდობიანად მიაღწიონ. რა თქმა უნდა, თურქ ხალხს აქვს უფლება, უფრო უკეთეს ქვეყანაში იცხოვროს, ირანელ ხალხსაც იგივე უფლება აქვს, როგორი ხელისუფლებაც არ უნდა ჰყავდეს მას და თეოკრატიის რა ხარისხიც არ უნდა იყოს ირანში, რუს ხალხსაც თავისი ოცნებები აქვს, ხოლო დასავლეთის ცივილიზაციას — თავისი მისწრაფებები.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე



ტრამპი 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს

დონალდ ტრამპს პრეზიდენტობა მეორე ვადითაც სურს. ამის შესახებ თეთრი სახლის პრესმდივანმა ჰოგან ჰიდლიმ განაცხადა. მისივე თქმით, ტრამპი მონაწილეობას 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც მიიღებს. თეთრი სახლის მოქმედმა ლიდერმა 2016 წლის არჩევნებში დემოკრატთა კანდიდატი ჰილარი კლინტონი დაამარცხა.

ავსტრალიაში ერთნაირსქესიანებმა იქორწინეს

ავსტრალიაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების შემდეგ პირველი გეი წყვილი დაქორწინდა. 23 წლის ლუკ სალივანმა და 29 წლის ქრეიგ ბარნსმა ბეჭდები გაცვალეს. ავსტრალიაში ერთნაირსქესიანთა ქორწინება 5 დეკემბერს დაკანონდა. ახალი რეგულაცია ძალაში 2018 წლის 1 იანვრიდან შევიდა.

სარკინიგზო კატასტროფის შედეგად 200-მდე ადამიანი დაშავდა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ერთმანეთს ორი სამგზავრო მატარებელი შეეჯახა. ინციდენტი ქალაქ ჯერმისტონის მახლობლად მოხდა. სარკინიგზო კატასტროფის შედეგად 200-მდე ადამიანი დაშავდა. ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ არ გავრცელებულა.

იტალიასა და გერმანიაში მაფიოზური კლანის 170-მდე წევრი დააკავეს

იტალიასა და გერმანიაში მასშტაბური რეიდები ჩატარდა. პოლიციამ მაფიოზური კლანის, „ნდრანგეტას“ 170-მდე წევრი დააპატიმრა. აქტივების სახით მათ 50 მილიონი ევრო დაუყადაღეს. მაფიოზებთან კორუფციულ გარიგებებში რამდენიმე იტალიელი მაღალჩინოსანიცაა ეჭვმიტანილი.

◎ ასდის გაზს ჰოლიტიკის სუნი?

სჭირდება კი საქართველოს ირანული გაზი, როცა აზერბაიჯანული აქვს?

„ირანიდან საქართველოში ბუნებრივი გაზის მიწოდების კონტრაქტის გაფორმება ჯერ კიდევ მოლაპარაკების საკითხს წარმოადგენს ირანის, საქართველოსა და სომხეთის კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის“, — იუწყება თეირანის გაზეთი „Iran Daily“.

„საქართველოსათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების კონტრაქტის დადება ჯერ კიდევ არაა გამორიცხული და როგორც კი მოლაპარაკება დასრულდება, კერძო სექტორი ირანულ გაზს, სომხეთის გავლით, საქართველოს მიაწვდის“, — განაცხადა ირანის გაზის ეროვნულმა კომპანიის (National Iranian Gas Company - NIGC) აღმასრულებელმა დირექტორმა ჰამიდ-რეზა არაკმა, — **„ირანის გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ მას საშუალება აქვს, გაზის ექსპორტი მრავალ ქვეყანაში განახორციელოს, მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოშიც, სომხეთის ტერიტორიის გავლით“.**

ამასთან, როგორც ჰამიდ-რეზა არაკმა აღნიშნა, გეგმის რეალიზებისა და შეთანხმების დადებისათვის აუცილებელია საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება, მათ შორის შეთანხმებები სომხეთის მთავრობასთან, საექსპორტო ინფრასტრუქტურისა და გონივრული ფასების შესახებ. „თუ ირანი, სომხეთი და საქართველო შესაბამის შეთანხმებას გააფორმებენ, მაშინ კერძო სექტორი ირანში გაზს შეიძენს, სომხეთს ტრანზიტისთვის ფულს გადაუხდის და საწვავს საქართველოში შეიტანს“, — განაცხადა ჰამიდ-რეზა არაკმა.

სჭირდება კი საქართველოს ირანული გაზი, როცა აზერბაიჯანული აქვს? — ამ სათაურით აქვეყნებს აზერბაიჯანული გამოცემა day.az სტატიას, რომელშიც განხილულია ირანის გაზის ეროვნული კომპანიის (NIGC) დირექტორის ჰამიდ-რეზა არაკის განცხადება ირანული გაზის საქართველოში სავარაუდო ექსპორტის შესახებ, სომხეთის ტერიტორიის გავლით.

„ზედმეტია იმის თქმა, რომ ირანული პრესის მიერ გამოქვეყნებული ეს პუბლიკაცია სომხურმა მასმედიამ სწრაფად გაავრცელა და საშუალება მისცა სომხებს, მოკლე დროით მაინც ეოცნებათ თავიანთი სატრანზიტო შესაძლებლობებით: „აი, დადგა, როგორც იქნა, ის მომენტი, როცა სომხეთს ტრანზიტის ნებართვას სთხოვენ და მის პასუხს მოუთმენლად ელოდებიან... რასაკვირველია, სომხეთის პასუხი დადებითი იქნება...“.

თუმცა ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია ვისაუბროთ არა სომხეთის ტრანზიტის საკითხზე, არამედ იმაზე, სჭირდება თუ არა საქართველოს ირანული გაზი.

ახალი წლის პირველი დღეებიდანვე საქართველოში ცნობილი გახდა, თუ როგორი იქნება გაზის მოხმარებისა და მიწოდების ბალანსი 2018 წლისათვის. გამოქვეყნებული სტატისტიკური მასალების თანახმად, 2018 წელს საქართველოს განზრახული აქვს გაზის იმპორტი 4,1%-ით გაზარდოს (2 მლრდ 689,4 მლნ კუბ.მ), ხოლო მოხმარება — 3,6%-ით (2 მლრდ 659,4 მლნ კუბ.მ). ე.წ. „სოციალური გაზის“ მოცულობა იქნება 1 მლრდ 554,2 მლნ კუბ.მ, ხოლო „კომერციულის“ — 1 მლრდ 105,2 მლნ კუბ.მ პლუს-მინუს დანაკარგები.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ბალანსის თანახმად, ბუნებრივი გაზის მთლიანი მოცულობა — 2 მლრდ 680 მლნ კუბური მეტრი — მიღებული იქნება აზერბაიჯანიდან, რაც 12%-ით მეტია 2017 წელთან შედარებით. ბალანსის მიხედვით, საქართველო, პირველად მრავალი წლის მანძილზე, რუსეთიდან გაზის მიღებას არ გეგმავს.

გავიხსენოთ, რომ ორი წლის წინათ ბევრი ექსპერტი დარწმუნებით აცხადებდა, რომ საქართველო ვერანაირად ვერ შეძლებს რუსული გაზის მთლიანად აზერბაიჯანულით ჩანაცვლებას, რადგან თბილისისთვის ეს წამგებიანი იქნებაო. მიუთითებდნენ, რომ ლაპარაკი მთლიანად აზერბაიჯანულ გაზზე გადასასვლელად მხოლოდ „შიდა მოხმარებისთვის“ იყო განკუთვნილი. ამავე დროს ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელები ღიად აცხადებდნენ ამგვარი გეგმების არსებობაზე.

ყველამ იცის და ადრეც გვითქვამს, რომ აზერბაიჯანული გაზი საქართველოსთვის დიდ როლს ასრულებს. ჩვენი ქვეყნების მრავალწლიანი თანამშრომლობის კვალობაზე აზერბაიჯანული გაზი ჭეშმარიტი პარტნიორობის სიმბოლოდ გადაიქცა. საქართველოში დღესაც მადლობით იხსენებენ, რომ აზერბაიჯანმა ქართველები 2009 წლის ცივ ზამთარში გაყინვისაგან გადაარჩინა. ბაქო საიმედოდ უზრუნველყოფს მეზობლის მოთხოვნებს გაზის საკითხში და არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ აზერბაიჯანულ გაზს საქართველოსთვის ალტერნატივა არ აქვს.

როგორც აზერბაიჯანელი ეკონომიკური ექსპერტი **ფუად ალიზადე** თვლის, სწორედ აზერბაიჯანული გაზია საქართველოსთვის ყველაზე ოპტიმალური. **„საქართველო ჩვენს გაზს სამი პოზიციით იღებს: პირველი — 5% მას უფასოდ ეძლევა, როგორც სატრანზიტო ქვეყანას; მეორე — ესაა „სოციალური“ და მესამე — „კომერციული“. მოსახლეობისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა მეორე პოზიციას აქვს. აზერბაიჯანი საქართველოს გაზს რომ აწვდის, მის პრობლემებს ითვალისწინებს, მათ შორის, სოციალურს. ჩვენი გაზი უფასოდ მიეწოდება ეკლესიებს, რელიგიურ დაწესებულებებს. აზერბაიჯანი „სოციალური გაზით“ მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებს უზრუნველყოფს, რასაც არცერთი სხვა ქვეყანა არ გააკეთებს — არც ირანი და რუსეთი. კომერციული ფასით გაზი მხოლოდ საწარმოებს მიეწოდება, თუმცა ამ შემთხვევაშიც აზერბაიჯანიდან მიღებული გაზის ფასი შედარებით უფრო დაბალია, ვიდრე სხვა წყაროებიდან“,** — ხაზს უსვამს ექსპერტი.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახლო პერსპექტივაში აზერბაიჯანი გააფართოვებს გაზის ექსპორტის მოცულობას „სამხრეთის გაზის დერეფნით“ და გასაგებია, რომ საქართველოს შემოსავლები ტრანზიტით მნიშვნელოვნად მოიმატებს.

რაც შეეხება ირანის გაზს, ფუად ალიზადე თვლის, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაზი ირანიდან საქართველოში სომხეთის ტერიტორიის გავლით შევა, ის მაინც ვერ იქნება კონკურენტუნარიანი აზერბაიჯანულთან შედარებით საქართველოს ბაზარზე, რადგან ირანული „ცისფერი საწვავი“ უფრო ძვირი ღირს. **„სწორედ ამ ფაქტორებით აიხსნება ის, თუ რატომ აძლევს საქართველო უპირატესობას აზერბაიჯანულ გაზს. ამრიგად, ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველო აზერბაიჯანული გაზის შემცვლელს იპოვის, არასერიოზულია“,** — ხაზს უსვამს ფუად ალიზადე.

შპს „ჩირაღდანი XXI საუკუნე“
ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო მომხმარებლების (მოსახლეობა)
საყურადღებოდ!

მიმწოდებლის მიერ ბუნებრივი გაზის ფასის გაზრდასთან დაკავშირებით, 2018 წლის 10 მარტიდან შპს „ჩირაღდანი XXI საუკუნე“-ს ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს (მოსახლეობა) ერთი კუბ.მეტრის მოცულობა ბუნებრივი გაზი მიეწოდება 2013 წლის 1 აპრილამდე მოქმედი ფასით — 0,509 ლარად (დღგ-ს ჩათვლით).

19 წლის ახალგაზრდის მკვლელობა

სამართალდამცველებმა ორთაჭალაში, ერთ-ერთი სახლი გაჩხრიკეს, რომელიც იმ ადგილას მდებარეობს, სადაც 19 წლის დავით დავით ტორიაშვილი მოკლული იპოვეს. ბინის მფლობელი ამბობს, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ შევიდნენ სამართალდამცველები მის სახლში. გურამ გვასალიას განცხადებით, მან საცხოვრებელი სახლი 60 წლის ქალს მიაქირავა, რომელიც შვილთან ერთად ცხოვრობდა. მისივე თქმით, ჩხრეკის შემდეგ სამართალდამცველებმა ნივთების ნაწილი დალუქეს და წაიღეს.

„ვინც იქირავა ეს ბინა, იმის შვილი იყო აქ. დედამისმა ავადმყოფი არისო, ვერ მუშაობს და მკურნალობსო. ეს ბიჭი ოთხჯერ თუ ხუთჯერ მყავს ნანახი აქ. პოლიცია შევიდა, იღებდა სურათებს, იძიებდნენ მკვლელის საკითხს. აქ გარაჟის პირდაპირ ამოიყვანეს ის ბიჭი წყლიდან“, — აცხადებს გურამ გვასალია.

19 წლის დავით დავით ტორიაშვილის ცხედარი ორთაჭალაში ძველი ავტომობილების სადგომთან ახლოს ნახეს. მას ჭრილობა კისრის არეში აქვს მიყენებული. ცხედარს ფიზიკური ძალადობის კვალიც ეტყობა. ადგილობრივების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა გარდაცვლილის ცხედარი წყლიდან გამოიტანეს. ტორიაშვილს კვირაზე მეტი ეძებდნენ. გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო.

* * *

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში მომხდარი მკვლელობა უმოკლეს ვადაში გახსნა. როგორც უწყებაში აცხადებენ, დანაშაულის გახსნა მოხერხდა იმის მიუხედავად, რომ ფაქტის შესახებ ინფორმაციის მქონე პირებმა გამოძიებასთან არ ითანამშრომლეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოსა და ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 1 პირი — 1991 წელს დაბადებული ნ.ქ., ხოლო დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით — 5 პირი: 1983 წელს დაბადებული ი.შ., 1987 წელს დაბადებული ნ.მ., 1991 წელს დაბადებული ზ.ლ.,1983 წელს დაბადებული რ.ხ. და 1990 წელს დაბადებული გ.ი. დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის გათვალისწინებულია 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მკვლელობაში ბრალდებულს 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

2017 წლის 29 დეკემბერს 1998 წელს დაბადებული დ.ტ.-ს გაუჩინარების შესახებ მისმა ოჯახმა პოლიციას შეატყობინა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 29 დეკემბერს 1991 წელს დაბადებულმა პირმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე გადაჭრილი თოფისა და ცივი იარაღის გამოყენებით ყელისა და გულ-მკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა თავის ნაცნობს — 1998 წელს დაბადებულ პირს და კვალის დაფარვის მიზნით ცხედარი მდინარე მტკვარში გადააგდო.

ფაქტის შემსწრე 5 პირი, რომლებმაც არ ითანამშრომლეს გამოძიებასთან დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის, უკვე დაკავებულია, თუმცა, ბრალდებულ პირთა წრე შესაძლოა გაიზარდოს. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი — გადაჭრილი თოფი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

„დანაშაული მხოლოდ ორ პირს არ ჩაუდენია. იქ იყო იმაზე მეტი დანა და იმაზე მეტი პირი, ვიდრე ბრალდებულის სკამზე ზის“

ადვოკატი ეკატერინე მაჭარაშვილი ხორავას ქუჩაზე მომხდარი ორი მოზარდის მკვლელობის საქმეზე საუბრისას აცხადებს, რომ დაცვის მხარე ხედავს საფრთხეს, რომ დანაშაული მხოლოდ ორ არასრულწლოვანს დაბრალდეს.

„დაცვის მხარე დარწმუნებული ვართ, რომ დანაშაული მხოლოდ ორ პირს არ ჩაუდენია. იქ იყო იმაზე მეტი დანა, ვიდრე გამოძიებით არის დადგენილი და იმაზე მეტი პირი მონაწილეობდა, ვიდრე ბრალდებულის სკამზე ზის“, — აცხადებს მაჭარაშვილი. მისივე თქმით, საქმეში არის კიდევ ერთი არასრულწლოვანი, რომელიც ხორავას ქუჩაზე 1 დეკემბერს დაიჭრა, თუმცა გამოძიებას ჯერ არ დაუდგენია, ვინ დაჭრა მოზარდი.

◎ ზამთრის თასი-2018

ყველასთვის სასურველი

12, 13 და 14 იანვარს თბილისის ოლიმპიური სასახლე დავით პეტრიაშვილის სახელობის ზამთრის თასს უმასპინძლებს.

სამი დღის განმავლობაში ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის 16 კლუბისა და ვეტერანი ვარსკვლავების გარდა, მომავალ ბატალიებში მონაწილეობას 14-წლამდელთა გუნდებიც მიიღებენ.

ზამთრის თასს, შარშანდელივით, მსოფლიოს საფეხბურთო ვარსკვლავთა ტურნირი დაასრულებს.

წინა წლის ტურნირისგან განსხვავებით, საქართველოს, უკრაინის, ესპანეთის, თურქეთისა და უკრაინის ნაკრებთა გარდა, წელს ზამთრის თასის მოსაპოვებლად იტალიელ ვეტერანთა გუნდიც იბრძოლებს.

მათ გარდა თბილისს, როგორც ყოველთვის, უეფას ნაკრებიც ესტუმრება, რომლის შემადგენლობაშიც რამდენიმე ისეთი ვარსკვლავი იქნება, როგორებიც რუმინელი კრისტიან კივუ, სლოვენიელი მილენკო აჩიმოვიჩი და სერბი დეიან სტანკოვიჩი არიან.

ტრადიციად ქცეულ ტურნირზე, რომლის მთავარი მიზანი ჩემპიონატებს შორის შესვენების გამრავალფეროვნება და ფეხბურთის პოპულარიზაციაა, დასწრება ნებისმიერ დღეს ყველა მსურველისათვის უფასო იქნება.

გიორგი ფოთაძე

◎ ოლიმპიზმი

უკანასკნელი შანსი

ლოზანის სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) გადაწყვეტილებით, რუს სპორტსმენთა მიერ შეტანილი საჩივრები გაერთიანდება და 27 იანვრამდე განიხილება.

„CAS-ი მიმდინარე თვის მესამე დეკადაში – 27 იანვრამდე ყველა საჩივარს განიხილავს ისე, რომ ისინი ერთ საქმედ გაერთიანდება“, – გვამცნობს რუს სპორტსმენთა ინტერესების დამცველი არტემ პაცევი.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე 43 რუსი სპორტსმენის ნაჩვენები შედეგები გააუქმა და მათ 2018 წლის პიონჩანგის ოლიმპიადაზე მონაწილეობა აუკრძალა.

კორეაში რუსეთის ნაკრები არა ეროვნული, არამედ ნეიტრალური დროშით წარსდგება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ რჩეულნი

თორნიკე შენგელია – ელიტაში!

საკალათბურთო პორტალმა Eurobasket.com-მა 2017 წლის საუკეთესო მოთამაშეები და ხუთეულები გამოავლინა.

რჩეულთა შორის „ბასკონიას“ ქართველი ლეგიონერი **თორნიკე შენგელიაც** მოხვდა.

2017 წელს ევროპაში მოთამაშე საუკეთესო კალათბურთელად სერბი **ბოგდან ბოგდანოვიჩი** დასახელდა, რომელმაც ნაკრებს ევრობასკეტზე „ვერცხლი“ მოუტანა, ხოლო „ფენერბახჩეს“ ევროლიგა მოაგებინა. იგი ამჟამად „საკრამენტო კინგზის“ ღირსებას იცავს.

ბოგდანოვიჩთან ერთად ევროპაში მოთამაშეთა პირველ ხუთეულში მოხვდნენ: **ლუკა დონჩიჩი** (სლოვენია), **ნანდო დე კოლო** (საფრანგეთი), **გეორგიოს პრინტეზისი** (საბერძნეთი) და **ეკპე ადო** (ნიგერია/აშშ), ხოლო „ჯვაროსანთა“ ერთ-ერთი ლიდერი მეორე ხუთეულში შეიყვანეს.

იგი ასე გამოიყურება : **მილოშ თეოდოშიჩი** (სერბეთი), **კეიტ ლენგფორდი** (აშშ), **ალექსეი შვედი** (რუსეთი), **თორნიკე შენგელია** (საქართველო) და **იან ვესელი** (ჩეხეთი).

ევროპის საუკეთესო მწვრთნელად საქართველოს ნაკრების ყოფილი და ამჟამად ევროპის მოქმედ ჩემპიონ სლოვენიის ნაკრების თავკაცი **იგორ კოკოშკოვი** დასახელდა.

2017 წლის უძლიერესნი ევროპიდან NBA-ში გადასულ კალათბურთელთაგანაც გამოავლინეს.

საუკეთესო ევროპელი კალათბურთელი სლოვენიის ნაკრების ლიდერი **გორან დრაგიჩი** გახდა, სიმბოლური ნაკრები კი ასეთია: **გორან დრაგიჩი** (სლოვენია), **ბოგდან ბოგდანოვიჩი** (სერბეთი), **იანის ანტეტოკუნმპო** (საბერძნეთი), **კრისტაპს პორზინგისი** (ლატვია) და **რუდი გობერი** (საფრანგეთი).

მეორე სიმბოლური: **დენის შრიოდერი** (გერმანია), **ევან ფურნიე** (საფრანგეთი), **ნანდო დე კოლო** (საფრანგეთი), **ნიკოლა იოკიჩი** (სერბეთი) და **მარკ გასოლი** (ესპანეთი).

Eurobasket.com-მა საპატიო ათეულიც დაასახელა, სადაც **თორნიკე შენგელია** ისეთ ვარსკვლავებთან ერთადაა, როგორებიც **ლუკა დონჩიჩი, ნიკოლა ბატუმი, ნიკოლა ვუჩევიჩი, იან ვესელი, ნიკოლა მიროტიჩი, იონას ვალანჩუნასი, პაუ გასოლი, დარიო სარიჩი, მილოშ თეოდოშიჩი** და **ალექსეი შვედი** არიან.

ამ ათეულიდან მხოლოდ **შენგელია** და **შვედი** არ თამაშობენ ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის გუნდებში.

ვიტალი ჯაფარიძე

რაგბი ჩვენი თამაშია!

„ბორჯღალოსნები“ ქუთაისში ბრუნდებიან

12-წლიანი შესვენების შემდეგ ქუთაისში სანაკრებო მატჩი ბრუნდება. „ბორჯღალოსნები“ 2018 წლის პირველ შეხვედრას 10 თებერვალს „აია არენაზე“ გამართავენ. ტრადიციულად, მილტონ ჰეიგის შეგირდები სეზონს რაგბი ევროპის ჩემპიონატით ხსნიან, რომლის ფარგლებში ხუთ თამაშს გამართავენ – სამს შინ და ორს სტუმრად.

პირველი მეტოქე ბელგიაა და შეხვედრა 10 თებერვალს 15 საათზე „აია არენაზე“ დაიწყება. ნაკრების არსებობის 28-წლიან ისტორიაში „ბორჯღალოსნები“ ქუთაისში მესამედ ითამაშებენ.

ნათლობის მატჩი 1989 წლის 12 სექტემბერს გაიმართა. დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე ქუთაისს ზიმბაბვეს ნაკრები ეწვია და საქართველომ პირველ, ისტორიულ ბრძოლაში მეტოქე 16:3 დაამარცხა.

16-წლიანი პაუზის შემდეგ, 2005 წლის 12 ივნისს „ბორჯღალოსნებმა“ მაშინდელი ერთა თასის ეგიდით ქუთაისში ჩეხეთი მიიღეს, მეტოქეს 11 ლელო გაუტანეს, 75:10 გაანადგურეს და გატანილ-გაშვებული ქულათა უკეთესი სხვაობით წელი პირველ ადგილზე დაასრულეს.

რაგბის კავშირს ქუთაისში სანაკრებო მატჩის გამართვის სურვილი არაერთხელ ჰქონდა, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო გუნდები იქ ჩასვლას უარობდნენ. მას შემდეგ, რაც „აია არენა“ გაიხსნა და შარშანმან მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის „ბ“ ჯგუფის (ახალი ზელანდია, შოტლანდია, იტალია, ირლანდია) ექვს შეხვედრას უმასპინძლა, საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქს 2018 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის სტარტზე ბელგიის ეროვნული ნაკრები ეწვევა.

„ბორჯღალოსნებს“ ბელგიელებთან აქამდე სამჯერ უთამაშიათ (ერთხელ შინ, ორჯერ სტუმრად) და სამი გამარჯვება აქვთ. სარეკორდო სხვაობა 2014 წელს „ავჭალაზე“ დაფიქსირდა – 35:0.

ესპანეთთან – „მესხზე“

„ბორჯღალოსნები“ ქუთაისიდან გერმანიაში გაემგზავრებიან და რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეორე ტურში მასპინძლებს 17 თებერვალს საქართველოს დროით 17:30 საათზე ეთამაშებიან.

10 მარტს საქართველო რუსეთს გასვლაზე შეებმება. ბოლო წლებში ჩვენები ჩრდილოელებს ტრადიციულად სოჭში ეთამაშებოდნენ, თუმცა, ამჯერად მატჩის ჩატარების ადგილი ჯერ ოფიციალურად არაა ცნობილი.

ქართველი მორაგბეები რუსეთამდე ერთი კვირით ადრე, 3 მარტს ესპანეთის ნაკრებს „მიხეილ მესხის“ სტადიონზე დაუხვდებიან.

ანთიმოზ ივერიელის თასისთვის – „დინამოზე“

რაგბი ევროპის ჩემპიონატის დასკვნით შეხვედრაში „ბორჯღალოსნები“ ტრადიციულ მეტოქეს – რუმინელ „მუხებს“ „დინამო არენაზე“ დაუპირისპირდებიან.

პრინციპული მატჩი, რომელშიც მასპინძლები რაგბი ევროპის ჩემპიონის ტიტულისა და საქართველო-რუმინეთს შორის საზიარო ანთიმოზ ივერიელის თასის დასაბრუნებლად იბრძოლებენ, 18 მარტს გაიმართება.

2018 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატი

10 თებერვალი. 15:00
ქუთაისი. „აია არენა“
საქართველო – ბელგია
17 თებერვალი
გერმანია – საქართველო (გასვლა)
3 მარტი
„მესხის სტადიონი“
საქართველო – ესპანეთი
10 მარტი
რუსეთი – საქართველო (გასვლა)
18 მარტი
„დინამო არენა“
საქართველო – რუმინეთი

კობა კოპაძიძე

სამუდამო სიცოცხლე ისტორიაში...

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე

ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, 95 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და პედაგოგი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე.

მ. ლორთქიფანიძე ქართველ ისტორიკოსთა იმ სკოლის წარმომადგენელია, რომელსაც საფუძველი დაუდო დიდმა ივანე ჯავახიშვილმა.

მ. ლორთქიფანიძის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორისაა რამდენიმე მონოგრაფია, სამეცნიერო სტატიები. გარდა ამისა, მრავალი საენციკლოპედიო თუ საგაზეთო სტატია. ამ ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერების განვითარებაში, შუქი მოჰფინეს ბევრ მანამდე გადაუჭრელ პრობლემას. ამავე დროს ის გულმხურვალედ და შემართებით ეხმაურებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, პირნათლად იხდიდა მეცნიერ-პატრიოტის ვალს სამშობლო ქვეყნის წინაშე.

მ. ლორთქიფანიძემ 1939 წელს წარჩინებით — ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 25-ე საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ (1943 წ.) ჩაირიცხა ასპირანტურაში საქართველოს ისტორიის სპეციალობით. 1947 წელს მარიამ ლორთქიფანიძემ მუშაობა დაიწყო ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. მ.ლორთქიფანიძემ ქართული, სომხური და არაბული წყაროების საფუძველზე მონოგრაფიულად შეისწავლა თბილისის საამიროს ისტორია. საკმაოდ მკვეთრად გამოიკვეთა საქართველოსა და სახალიფოს ურთიერთობისა და საქართველოში არაბთა მფლობელობის ისტორიის საკითხები. აღნიშნული მუშაობის შედეგი იყო მისი გამოკვლევები ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ (თარგმანი და გამოკვლევა, 1951 წ.), „თბილისის საამიროს ისტორია“, „ქართველი და სომეხი ხალხების ბრძოლა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ“ და სხვ.

1948 წელს მ. ლორთქიფანიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „თბილისის საამირო“. იმავე წელს იგი მიწვეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე.

მ. ლორთქიფანიძე ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო. იგი იკვლევდა საქართველოს შუა საუკუნეების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სახელმწიფო წყობილებისა და კულტურის ისტორიის საკითხებს. აგრეთვე დიდ ადგილს უთმობდა ქართულ წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიას. ის მონოგრაფიაში — „ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში“ (1979 წ.) განხილულია ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობა და ადრეფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბების საკითხები; ხაზგასმულია დიდი მეფის საეკლესიო საქმიანობა. მეცნიერის კვლევა-ძიების შედეგების ერთი ნაწილი თავმოყრილია ფუნდამენტურ გამოკვლევაში „საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“. ნაშრომში ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნა განხილულია მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებთან კავშირში, რამაც დააჩქარა ეროვნული ძალების კონსოლიდაციის პროცესი და ეროვნული თვითშეგნების ზრდა; შესწავლილია ქვეყნის გაერთიანების სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები, ქართული ეკლესიის როლი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

დადგენილია, რომ საქართველოს ცენტრალურ რეგიონებში არაბთა შედარებით მყარი ხელისუფლების არსებობის პირობებში დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა პერიფერიებში დაიწყო, ჩამოყალიბდა ახალი სამეფო-სამთავროები, კახეთის საქორეპისკოპოსო, აფხაზთა სამეფო, ქართველთა (ტაო-კლარჯეთის) საკურაპალატო, ჰერეთის სამთავრო, ქართული ქვეყნების გაერთიანების პროცესი სწორედ ამ სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებით დაიწყო. ეს მონოგრაფია ავტორის სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენდა. დაცვა შედგა 1963 წელს. იგი მალე თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად აირჩიეს. 1972 წელს მ. ლორთქიფანიძე საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე გახდა.

მ. ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში „საქართველო XI-XIII საუკუნეებში“, რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა 1974 წელს, ნაჩვენებია ისტორიული საფუძვლები, რომელთაც განაპირობეს საქართველოს ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა, წარმოჩენილია საქართველოს ავანგარდული როლი იმდროინდელ კავკასიაში, მოცემულია XI-XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ისტორიის ნათელი სურათი. ამ ნაშრომისათვის მეცნიერს მიენიჭა ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია. 1987 წელს ინგლისურ ენაზე გამოიცა მარიამ ლორთქიფანიძის „XI-XII საუკუნეების საქართველოს ისტორია“. 1966 წელს, რუსთაველის რვაასწლოვანი იუბილის დროს, გამოცემული „რუსთაველის ეპოქა“ (ქართულ და რუსულ ენებზე) პოპულარულად წარმოაჩენს საკითხთა იგივე წრეს, აღწერს „ოქროს ხანას“ საქართველოში.

მ. ლორთქიფანიძემ მნიშვნელოვანი ამაგი დასდო „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის შექმნას. იგი აქტიურად მონაწილეობდა „ნარკვევების“ II და III ტომების მომზადებაში. მის მიერ გამოკვლეულია IX-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხები. რვატომეულმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ავტორთა კოლექტივი, მათ შორის, მ. ლორთქიფანიძე 1980 წელს სახელმწიფო პრემიით დააჯილდოვეს.

მ. ლორთქიფანიძემ თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოს გლეხობის ისტორიის კვლევას. აქვე გააშუქა აზნაურთა ფენის წარმოქმნა-ჩამოყალიბების პრობლემებიც. ამ მიმართულებით შექმნილი მეცნიერის ნაშრომები მნიშვნელოვან დებულებებსა და დასკვნებს შეიცავს საქართველოს გლეხობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის, აზნაურთა სტატუსისა და მათ მიერ მიწების ფლობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის პირველი მეფის ბაგრატ III-ის ცხოვრებასა და მოღვაწეობას წიგნში „ბაგრატ III“. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია „ბაგრატ III-ის სამართალს“ და აქედან გამომდინარე ფასეული დასკვნები გააკეთა ბატონყმობის გამარჯვების თარიღთან დაკავშირებით. დაადასტურა, რომ IX საუკუნისათვის გლეხობა ჩამოყალიბებულია როგორც ერთიანი სოციალური ფენა და მიწაზეა მიმაგრებული. ასევე დამთავრებულია ამ დროისათვის აზნაურების ერთიან ფენად ჩამოყალიბების პროცესი. უკვე არსებობენ „დიდებული აზნაურები“. მარიამ ლორთქიფანიძემ თვალი გაადევნა მიწის საკუთრების ისეთი ფორმების არსებობას და მის ევოლუციას, როგორიცაა „აგარა“ („აგარაკი“) და გამოთქვა თვალსაზრისი, რომ „ქართულმა „აგარაკმა“ განვითარების ისეთივე გზა განვლო, როგორიც ევროპულმა „ალოდმა“. გამორჩეულად საინტერესოა მისი ნაშრომი „ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი)“. მეცნიერი ასკვნის, რომ ქართულ ქალაქებში არაბული სახელწოდების სამოხელეო ინსტიტუტები (ამირა, შურტა, მუჰთასიბი) განსხვავდებიან თავისი არსით სახალიფოს ქალაქებში მოღვაწე იმავე სახელწოდების მოხელეებისაგან. ეს კი აიხსნება მათზე ქართული სინამდვილის გავლენით. საგულისხმოა, რომ საქართველოს სახელმწიფო მონარქიის უმნიშვნელოვანესი მოხელე „ვაზირი“, მ. ლორთქიფანიძემ დაუკავშირა ქართულ ნიადაგზე აღმოცენებულ „უხუცესთა“ ინსტიტუტსა და საინტერესო დასკვნები მოგვცა მის შესახებ.

მეცნიერმა თავის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი დაუთმო ქართული ისტორიული აზროვნების საკითხებს. ამ პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ქართული საისტორიო აზროვნების განვითარების დონის წარმოსაჩენად დეტალურად განიხილა ჰაგიოგრაფიული მწერლობა. ყურადღება დაუთმო სამოქალაქო საისტორიო მწერლობას და მისი წარმოშობის პრობლემას. საგანგებოდ განიხილა ქართული სამოქალაქო საისტორიო მწერლობის წარმოშობის საკითხი, მართებულად დაუკავშირა ის წინაქრისტიანული ხანის ქართულ საისტორიო აზროვნებას.

მ. ლორთქიფანიძემ დიდი ამაგი დასდო ქართული საისტორიო წყაროების რუსულად თარგმნას. მეცნიერმა თარგმნა და რუსულად გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ თხზულებები: „მატიანე ქართლისა“ და სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. აღნიშნული გამოცემებისათვის მარიამ ლორთქიფანიძეს ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. მის მიერ დამუშავებული ეს თხზულებები გათვალისწინებულ იქნა 2008 წელს გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“. რუსული თარგმანები კი იმავე წელს გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ რუსულ ვარიანტში შევიდა. „ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემაში გაწეული შრომისათვის მარიამ ლორთქიფანიძეს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის საკადემიო პრემია. მანვე დიდი ამაგი დასდო ქართლის ცხოვრების შესწავლას (იხ. „რა არის ქართლის ცხოვრება“, თბ., 1989 წ.).

დიდია მ. ლორთქიფანიძის წვლილი აფხაზეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

მ. ლორთქიფანიძე არის „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“ I ტომის (1998 წ.) თანაავტორი.

მან საგანგებოდ შეისწავლა და რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ქართველი და სომეხი ხალხების, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობების შესწავლას. მ. ლორთქიფანიძე აქტიურად იცავდა ჩვენი ქვეყნის ისტორიას მეცნიერულ გამყალბებელთაგან. მან ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა უნივერსიტეტში ლექციების ნაწილის რუსულად წაკითხვის მოთხოვნის წინააღმდეგ. იგი შემდეგ მხარში ედგა იმ სტუდენტებს, ვინც ქართული ენის სტატუსის დასაცავად გამოდიოდნენ.

მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდაში. არაერთმა ახალგაზრდა მკვლევარმა მისი ხელმძღვანელობით გაიარა საასპირანტო კურსი და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იგი აქტიურ სალექციო მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1948 წლიდან მარიამ ლორთქიფანიძე კითხულობდა საქართველოს ისტორიის ზოგად კურსს, მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეების, სახალიფოს ისტორიის, ქართული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის კურსებს ისტორიის, ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზე.

მარიამ ლორთქიფანიძე თანაავტორია საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლის VIII-IX კლასების სახელმძღვანელოსი, რომლის სამი შევსებულ-გადამამუშავებელი გამოცემა გამოვიდა რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე. ამასთანავე, თანაავტორი იყო VII და X კლასების საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებისა. მისი თანაავტორობითა და რედაქციით გამოიცა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის (2006 წ.). არის საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის მთავარი რედაქტორი და II ტომის გარკვეული ნაწილის ავტორი.

მისი შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე.

წლების მანძილზე ის თავმჯდომარეობდა უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხების (საქართველოს ისტორიასა და წყაროთმცოდნეობა-ისტორიოგრაფიაში) მიმნიჭებელ საბჭოს.

დიდ დროსა და ენერგიას უთმობდა საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციას. მისი საუნივერსიტეტო და საჯარო ლექციები (საქართველოში, მოსკოვში, ლენინგრადში, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში, უცხოეთში) გამოირჩეოდა სიღრმითა და დახვეწილობით. მისი სატელევიზიო გამოსვლები ხელს უწყობდა ახალგაზრდობას, ფართო საზოგადოებას ჩვენი ქვეყნის წარსულის აღქმაში.

სასულიერო აკადემიაში იგი ლექციებს კითხულობდა საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე.

ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტმა(I) მ. ლორთქიფანიძე 1997 წლის გამოჩენილ ადამიანად გამოაცხადა.

მ. ლორთქიფანიძე აქტიურად მონაწილეობდა ისტორიკოსთა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონგრესებში (მოსკოვი, ვენა, ბუქარესტი, სან-ფრანცისკო, ათენი და სხვ.).

1975 წ. მ. ლორთქიფანიძეს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. 1983 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1993 წელს — ნამდვილ წევრად. წლების მანძილზე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის „შრომების“ მთავარი რედაქტორი, ასევე რედაქტორი იყო (საქართველოს მხრიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის სამი უნივერსიტეტის (იენი, სარბრუკენი, კონსტანცა) ერთობლივი გერმანულენოვანი კავკასიოლოგიურ-ქართველოლოგიური სამეცნიერო ორგანოსი „გეორგიკა“.

მ. ლორთქიფანიძე არჩეულია თბილისის საპატიო მოქალაქედ.

განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ მ. ლორთქიფანიძის დაჯილდოება ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

დაუვიწყარია მ. ლორთქიფანიძის ღვაწლი ქართული მეცნიერებისა და სამშობლოს წინაშე, რომლებსაც პირნათლად ემსახურა კალმითა და საქმით.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული საისტორიო მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ათეული წლების მანძილზე თსუ-ს საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე და მრავალი თაობის აღმზრდელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, წმინდა გიორგის ოქროს ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, აკადემიკოსი

მარიამ ლორთქიფანიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და მთელ სამეცნიერო საზოგადოებას.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წლების მანძილზე „ცოდნის“ თავმჯდომარის მოადგილე და პრეზიდიუმის წევრი, დიდი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი, დაუვიწყარი

მარიკა ლორთქიფანიძე

და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ უღრმეს გულისტკივილს გამოხატავს დიდი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელისა და უსაყვარლესი მასწავლებლის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ჩვენი ასოციაციის აქტიური წევრის, ქართული სიდარბაისლით, არისტოკრატიზმით, სათნოებითა და კეთილშობილებით გამორჩეული ქალბატონის, აკადემიკოს

მარიამ ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და სრულიად საქართველოს.

საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კავშირი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

მარიამ (მარიკა) ლორთქიფანიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ლუიზა, როინ მეტრეველები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი

მარიამ ლორთქიფანიძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, ნათელა ლაღიძე, დალი ბოჯგუა, მადონა მგელაძე, ლამარა გაგუა დიდი გულისტკივილით იუწყებიან გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიკოსთა ბრწყინვალე პლეადის ღირსეული წარმომადგენლის, ქალბატონი

მარიკა ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ მის მრავალრიცხოვან ოჯახს, ნათესავებს, სრულიად საქართველოს.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართველი ერის გარდასულ ჟამთა ამაგდარი მემატიანე, ბოლო ამოსუნთქვამდე მამულის ღირსეული მომავლისათვის დამაშვრალი, საქართველოს დიდი ქალბატონი

მარიამ ლორთქიფანიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის დიდ ოჯახს.

მზექალა შანიძე, ეთერ ქემერტელიძე, გუჩა კვარაცხელია, ნანა ხაზარაძე, თინათინ სადუნიშვილი ღრმა გულისტკივილით იუწყებიან საქვეყნოდ გამოჩენილი მეცნიერის, ბრწყინვალე პედაგოგის, განსაკუთრებული შემართების მქონე საზოგადო მოღვაწის, ერთგული მეგობრის, უკეთილშობილესი მანდილოსნის, აკადემიკოს

მარიამ ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს ამ მძიმე დანაკლისის გამო.

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ქართული საისტორიო მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ათეული წლების მანძილზე თსუ-ს საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე და მრავალი თაობის აღმზრდელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, წმინდა გიორგის ოქროს ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, აკადემიკოსი

მარიამ ლორთქიფანიძე

და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს. მისი მოწაფეები: ზაზა აბაშიძე, ქეთევან ნადირაძე, მარინე ქანთარია, თამარ ქორიძე, ირინა ფალავა.

ზურა, თინა, ლელიკო მირიჯანაშვილები, მზევინარ ღოღობერიძე, ირინა, სოფიკო ლორთქიფანიძეები, რამაზ კახაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი ქალბატონის

მარიამ (მარიკა) ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ოთარ, ვასილ, ირინა ტურაბელიძეები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ თამარ, დავით, გიორგი ოთხმეზურებს დედის

მარიამ (მარიკა) ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ბუკინისტი იყიდის:

მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოცი ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

გამოიწერეთ ან ეოველდღე შეიძინეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.5895; ევრო - 3.1092;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5077;
100 რუბლი - 4.5400; თურქული ლირა - 0.6914;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5238;
1000 სომხური დრამი - 5.3359.

ამინდი 10 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+6
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge